# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 5 სექტემბერი 2008 №204 (3428) ფასი 50 თეთრი


# დღეს საქართველო ოცი იცის და ფეხბურთიც

## კალაძე ფიფას და იტალიას შემოსწყრა



# შავი სამკლავური და იაკო

## ნაკრებს იაშვილი გამოუჯანმრთელდა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები გერმანულ მაინცშია და ირლანდიასთან მოახლოებული მატჩისთვის მზადებას განაგრძობს.

სასიამოვნოა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის ბანაკიდან კარგი ამბები მოდის — ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და თავს კარგად გრძნობს.

გამოჯანმრთელდა ალექსანდრე იაშვილიც. გერმანული „კარლსრუეს“ ფორვარდი გუშინწინდელ ვარჯიშზე დაშავდა, თუმცა საბედნიეროდ, საშიში არაფერი გამოდგა და აკუნამ დღეს სრული დატვირთვით ივარჯიშა.

ექტორ რაულ კუპერმა ადრინდელისგან განსხვავებით, გუშინ ოდენ საღამოს ავარჯიშა გუნდი. დილით კი თეორიული მეცადინეობა იყო, სადაც მწვრთნელმა გუნდს ირლანდიის ნაკრების პლუს-მინუსები გაუშიფრა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროს სანდრო ცნობილაძის თქმით, ნაკრებში კარგი განწყობაა და ყველას ერთი სული აქვს, როდის მოვა 6 სექტემბერი. დღე, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ახალი იმედებით ახალ შესარჩევ ციკლს დაიწყებს ჯოვანი ტრაპატონის ირლანდიასთან მატჩით.

ჩვენები უელსური მატჩის დარად, ამ შეხვედრაშიც შავი სამკლავურებით ითამაშებენ და ასე მიაგებენ პატივს საქართველო-რუსეთის ომისას დაღუპულთა ხსოვნას.

და ერთიც: საქართველოს ნაკრები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ახალი, გერმანული ფირმა „იაკოს“ ფორმით დაიწყებს.

სწორედ ამ ფირმით შეიცვალა იტალიური „დიადორა“, ვისთანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა.

**კახა შალამბერიძე**

# ირლანდია გუშინ მაინცში ჩავიდა

## კილბეინი ისევ საეჭვოა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მსგავსად, ირლანდიელებიც უკვე მაინცში არიან და ღღეიდან მზადებას იქ გააგრძელებენ.

„სამყურები“ გერმანიაში გუშინ ჩაფრინდნენ, მანამდე კი შინაურ „გენონ პარკზე“ ერთხელაც წაივარჯიშეს.

კევინ კილბეინი გუნდს რომ დაუბრუნდა, უკვე ვწერდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხბურთელს გატეხილი ყვრიმალი კვლავ გაუმიზეზდა და ახლა დამცავ ნიღაბს უმზადებენ. ამის მიუხედავად, ჯოვანი ტრაპატონი საშაბათო მატჩისთვის კილბეინს მაინც ენდობა და ალბათ ათამაშებს კიდეც.

სრულად დაიტვირთა რიჩარდ დანიც, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა და შაბათს მოედანზე მასაც ვიხილავთ, მით უფრო, რომ ტრაპატონიმ გერმანიაში გამგზავრების წინ ჟურნალისტებს ირლანდიელთა სასტარტო შემადგენლობა გაუმხილა. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ქართველების წინააღმდეგ ასეთი თერთმეტეული გამოვა: *შეი გივენი, სტივ ფინანი, ჯონ ოშეი, რიჩარდ დანი, კევინ კილბეინი, სტივენ ჰანტი, გლენ გელანი, სტივენ რიდი, ეიდენ მაკგიდი, კევინ დოილი, რობი კინი.*

კევინ კილბეინი

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ოთხი — კარგია, ექვსი — შესანიშნავი

**ირლანდიელთა** თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი გუნდის ერთერთ საკვანძო ფეხბურთელად გლენ ველანს მიიჩნევს, იმის მიუხედავად, რომ 24 წლის ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში დებიუტი სწორედ იტალიელის გათავკაცების შემდეგღა ჰქონდა — 2008 წლის მაისში, სერბების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში.

საქართველოსთან მატჩი კი ველანის პირველი ოფიციალური თამაში იქნება.

ტრაპატონიმ ველანი თავის თანამემამულე ჯენარო გატუზოსაც კი შეადარა.

„ჩემთვის დიდი პატივია ისეთ ფეხბურთელთან შედარება, როგორიც გატუზოა, ვეცდები, გავამართლო მწვრთნელის სიტყვები“ — განაცხადა ველანმა, რომელიც ჟურნალისტებს კარსმომდგარ თამაშებზე ესაუბრა — „საქართველოსთან ჩემი პირველი ოფიციალური თამაშია და თუ მოედანზე გასვლის შანსი მომეცემა, უნდა დავამტკიცო, რომ ნაკრების ღირსი ვარ. ჩვენთვის კარგი დასაწყისი იქნება, თუ სამ ქულას ავიღებთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართველები ხისტად ითამაშებენ, მათი ტექნიკური ფეხბურთელების დაჭერაც არ იქნება იოლი. მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რომ მატჩი ნეიტრალურ მოედანზეა. იქაც თერთმეტი ფეხბურთელი თერთმეტის წინააღმდეგ თამაშობს. ჩვენი საქმეა, გავიდეთ და მოვიგოთ. ვფიქრობ, არც ქართველებთან და ჩერნოგორიელებთან აღებული ოთხი ქულა არ იქნება ურიგო“ — აღნიშნა ველანმა.



გლენ ველანი

თანაგუნდელს ეთანხმება შოან ლონგიც, რომელიც სათადარიგოთა სკამზე უფრო იქნება, ვიდრე მინდორზე...

„ორ მატჩში ოთხი ქულა კარგი შედეგი იქნება, თუ ექვს ქულას ავიღებთ — შესანიშნავი“ — ამბობს ლონგი.

**ეიხეილ ჟორჟოლიანი**

# გერმანული ბილეთები ქართველებისთვის

**6 სექტემბერს** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო — ირლანდია გერმანიის ქალაქ მაინცში გაიმართება. მასპინძელი სტადიონის სალაროებში ბილეთები გაიყიდება მხოლოდ თამაშის დღეს, იქამდე კი მხოლოდ საფეხბურთო კლუბ „მაინცის“ ფან-შოპში.

ქართველი გულშემატკივრებისთვის გამოყოფილია დასავლეთ ტრიბუნის A და B სექტორები და აღმოსავლეთ ტრიბუნის O, N და M სექტორები.

ირლანდიელი გულშემატკივრები კი ჩრდილოეთ ტრიბუნას დაიკავებენ.

ქართველი გულშემატკივრებისთვის გამოყოფილ სექტორებში ბილეთების ფასები ასეთია: A — 29 ევრო, B — 33 ევრო, O — 27 ევრო, N — 29 ევრო, M — 31 ევრო.

ქართველთათვის გამოყოფილი ბილეთები გაიყიდება 1-6 სალაროებში, ირლანდიელები კი ბილეთებს 7-14 სალაროებში შეიძენენ.

*სფფ-ის პრესცენტრი*




# რეგიონალიგიდან ჩემპიონთა ლიგაში

**ბელარუსულ** ბატე-ში ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი, ლაშა დეკანოსიძე რომ ჩაირიცხა, გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით.

ამ ტრანსფერით მოახლოებულ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე ქართველთა რაოდენობა სამამდე გაიზარდა — ანორთოსისელ კლიმენტი წიტაიშვილს და კიევის დინამოელ მალხაზ ასათიანს ბატელი ლაშა დეკანოსიძეც შეემატა.

ამ ბიჭზე ბევრი არაფერი ვიცოდით და რაც მოვიძიეთ, ესაა: ლაშა დეკანოსიძე დაიბადა 1987 წლის 9 ივლისს თბილისში.

არის მარცხენა ნახევარმცველი. სიმაღლე 177 სმ, წონა 71 კგ.

2003-05 წლებში თამაშობდა „დინამოს“ აკადემიაში, მერე ოლიმპიური მომზადების ცენტრის (ომც) გუნდში იყო, საიდანაც „ორბებში“ გადავიდა და ბატე-ში გადასვლამდე სწორედ ამ გუნდში იყო. ეს არის და ეს.

**კახა შალამბერიძე**

## ინგლისი

კონფერენსი

კიდერმინსტერი 1:0 ტორკი

## პოლონეთი

თასი

B ჯგუფი

რუხი 0:0 გურნიკი

## ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

შოტლანდია U21 3:1 სლოვენია U21

## შვედეთი

სუპერკუპი

ჰეკენი 8:0 სირიუსი

## ესპანეთი

თასი

ალიკანტე 0:1 სელტა

## ფინეთი

იპონენი

VIFK 1:2 კპპ

## ამხანაგური მატჩი

ბოხუმი 2:1 გრაასჰოპერი

# კახა კალაძე ფიფას და იტალიას შემოსწყრა!

## ნაკრების ფეხბურთელები დაზარალებულებს ეხმარებიან

**კახა კალაძემ** იტალიურ „ლა გაძეტა დელა სპორტს“ უთხრა, ფიფას გადაწყვეტილებით ნაწყენი ვარ, საქართველო — ირლანდიის მატჩი თბილისიდან ნეიტრალურ ქვეყანაში არ უნდა გადაეტანათო.

ისიც ვთქვათ, რომ ფიფამ ეს გადაწყვეტილება ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის მოთხოვნით მიიღო.

„მე და ჩემი თანაგუნდელები ერთმანეთს ვეკითხებით, რატომ გადაიტანეს მატჩი თბილისიდან. საქართველოში სამოქალაქო ომი არ არის, ჩვენ არ ვართ სახიფათონი. რა შეიძლება, მომხდარიყო თბილისის სტადიონზე?! არც არაფერი! ეს იქნებოდა ზეიმი ათასობით ადამიანისთვის, რომლებიც ახლა ტკბილად ვერ ცხოვრობენ“ — ამბობს კალაძე, რომლის თქმით, ფეხბურთელები ირლანდიასთან მატჩში შავი სამკლავურებით გავლენ.

„ნაკრების ფეხბურთელებმა უკვე დავიწყეთ ფულის შეგროვება იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ომში დაზარალდნენ“ — დაამატა კახამ.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი არა მარტო ფიფას, იტალიის მთავრობასაც შემოსწყრა.

გეცოდინებათ, აპენინელების გადაწყვეტილებით, იტალია — საქართველოს 10 სექტემბრის მატჩი უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების დაცვით ჩაივლის...

„ჩვენ სოლიდარობის ნიშნები გვინდოდა დაგვენახა და არა შიშის“ — მოკლედ მოჭრა კალაძემ.

**ილია ნანოგაშვილი**

# მთავარია, ირლანდიის სიჩქარეებს გავუძლოთ

## ბურდული ტავრიას დღეს გააფორმებს

საქართველოს ნაკრებში ლადო ბურდულს 20 მატჩი აქვს ჩატარებული, მათ შორის, ერთი 2003 წლის 11 ივნისს დუბლინში ირლანდიის ნაკრებთან. იმ ირლანდიასთან, რომელთანაც ხვალ ჩვენს ეროვნულ გუნდს მის გარეშე მოუწევს თამაში. ბურდულის ნაკრებში არგამოძახების მიზეზი მარტივი უნდა იყოს — თითქმის სამი თვეა, არ უთამაშია. დღეს კი მის უთამაშებლობას წერტილი უნდა დაესვას -- ლადო სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს თავად გვითხრა გუშინ, სიმფეროპოლში რომ შევეხმიანეთ და საკუთარი ამბების გარდა ირლანდიასთან თამაშიც გავახსენებინეთ...

— ირლანდიის ნაკრებთან ნათამაშები გაქვს. როგორ დახასიათებდი ამ გუნდს და რა შანსები აქვს ჩვენს ნაკრებს ხვალინდელ მატჩში?

— ირლანდიელებთან სტუმრად ვითამაშე. ძალიან სერიოზული გუნდია, ფეხბურთელების უმეტესობა ინგლისის პრემიერლიგაში თამაშობს. ჩვენ რომ ჩავედით, სახლში რამდენიმემატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ. ირლანდიელებს ბრიტანული სტილი აქვთ — მაღალ სიჩქარეებზე თამაშობენ, ძირითადად ფლანგებიდან უტევენ. ნაკლები დონის გუნდი არც ახლა უნდა ჰყავდეთ. ფაქტია, ბიჭებს რთული თამაში ელით. საქმეს ისიც ართულებს, რომ შინ არ ვთამაშობთ. მახსოვს, ირლანდიასთან საშინაო თამაშისას ტრავმა მქონდა და იმიტომ ვერ ვითამაშე, ბიჭები კი ტოლსწორად ებრძოლნენ მეტოქეს. უკეთესი იქნებოდა, ახლაც შინ ეთამაშათ. მართლა დიდი შემარხება მართებთ ჩვენებს. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ დაუმარცხებელი გუნდია — პირიქით, თუ სიჩქარეებს გავუძლებთ, ბრძოლით და შემართებით მათი დამარცხება ადვილია.

**— მწვრთნელის ფაქტორიც ხომ გასათვალისწინებელია? ჩვენს გუნდს ახალი თავკაცი ჰყავს...**

— ვფიქრობ, ექტორ რაულ კუპერის ჩამოყვანით ძალიან დიდი ნაბიჯი გადაიდგა ქართული ფეხბურთის აღმასვლისთვის. ჩემი აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი უსერიოზულესი მწვრთნელია, ძალიან მაღალი დონის გუნდები ჰყავს გაწვრთნილი. ამასთან არგენტინელია, ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი, რაც ჩვენთვის მისაღებია. უკრაინაში ქართულ პრესას ინტერნეტით ვეცნობით და წავიკითხე, უელსთან მატჩის შემდეგ შემართება მოგვიწონა და ტაქტიკა დაგვიწუნაო — ესეც კარგის მანიშნებელია. რაც შეეხება ვარჯიშებს, ჯერ მასთან არ მიმუშავია და ვერაფერს გეტყვით.

**— ალბათ გულდაწვეტილი ხარ, სანაკრებო სიაში რომ ვერ მოხვდი...**

— გულდაწყვეტილი, რა თქმა უნდა, ვარ, მაგრამ ჩემს არყოფნასაც თავისი გამართლება აქვს. დიდი ხანია, არ მითამაშია და საქმეში არავის ვუნახივარ. აქაც თითქოს დროულად უნდა დამეწყო თამაში, მაგრამ ერთი თვეა, კონტრაქტის გაფორმება გაიწელა. გუნდთან ერთადაც ვვარჯიშობდი. ახლა გუნდი შვებულებაშია, მე კი მეორე მწვრთნელთან ერთად დღეში ორჯერადი ფიზიკური ვარჯიშები მაქვს. ვფიქრობ, უკვე მზად ვარ სათამაშოდ. უახლოესი მატჩი „ტავრიას“ ერთ კვირაში აქვს და მეუბნებიან, ითამაშებო. შევეცდები, ჩემი დავამტკიცო და ნაკრებში ადგილი დავიბრუნო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მარჩელო ლიპი გაფრთხილებთ

## იქ, სადაც ბუფონია, ამელია-კურჩი ვის ახსოვს

**„თუ** გგონიათ, რომ კვიპროსსა და საქართველოს იოლად მოვუგებთ, ძალიან ცდებით“ — გამოუცხადა მარჩელო ლიპიმ იტალიის ნაკრების ფეხბურთელებს.

„სკუადრა აძურას“ თავკაცმა სამშაბათს შეკრიბა ნაკრები, რომელშიც ვერ მოხვდნენ მასიმო ამბროზინი, ანტონიო კასანო და კრისტიან პანუჩი. ლიპის ამაზე შეეკითხნენ და მანაც უპასუხა:

„მომავალში ბევრ ფეხბურთელს ექნება შანსი, ამჯერად კი ასეთი არჩევანი გავაკეთე და ვენდობი მათ, ვინც გამოვიძახე“.

შეგახსენებთ, 10 სექტემბერს იტალია უდინეს „ფრიულიზე“ საქართველოს უმასპინძლებს, მანამდე, 6-ში კი, კვიპროსს სტუმრობს.

„ჩვენ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქმე გაგვიადვილდება. თუ გერმანული ტრიუმფის გამეორება გვინდა, ახლავე, შესარჩევი ციკლიდანვე მაგრად უნდა დავიწყოთ“ — ამბობს „მაესტრო“.

უახლოეს მატჩებში იტალიელებს ზურგის ტრავმის გამო „პალერმოს“ მეკარე მარკო ამელია დააკლდებათ, ვის ნაცვლადაც ლიპიმ „რომას“ ჯანლუკა კურჩის უხმო. 23 წლის რომაელი აქამდეც ბევრჯერ გამოუძახებიათ „სკუადრაში“, თუმც ერთხელაც არ უთამაშია. ამელია, კაცმა რომ თქვას, რა დანაკლისია — ისედაც ჯანლუიჯი ბუფონი ჩადგებოდა კარში და ასედაც.

კიდევ, აპენინელებს ვარჯიშზე ორი ფეხბურთელი დაუშავდათ: „იუვენტუსის“ მცველი ნიკოლა ლეგროტალიე და „რომას“ ნახევარმცველი ალბერტო აკვილანი, თუმც, სავარაუდოდ, კვიპროსთან თუ არა, საქართველოსთან ორივეს შეეძლება თამაში.

სამაგიეროდ, ტრავმა სრულად მოირჩინა ფაბიო კანავარომ.

„წინა ტურში „რეალში“ იმიტომ ვერ ვითამაშე, რომ მწვრთნელმა არ დამაყენა. გასაგებიცაა, ბერნდ შუსტერი იმათ უფრო ენდო, რომლებმაც ზაფხულის მოსამზადებელი პერიოდი შეკრებაზე გაატარეს. მე კი იმ დროს ტრავმა მქონდა“ — ამბობს „სკუადრას“ კაპიტანი.

**ილია ნანოგაშვილი**

# კვიპროსი იმუქრება

**6 სექტემბერს** საქართველოს ნაკრების ჯგუფში კვიპროსი — იტალიაც გაიმართება.

კვიპროსში ფეხბურთის დონემ რომ იმატა, „ანორთოსისის“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლითაც დამტკიცდა. ამასვე ამბობს კვიპროსელთა კაპიტანი იანის ოკასი: „ძალიან ძლიერ გუნდთან გველის შეხვედრა. ისეთ დონეზე უნდა ვითამაშოთ, რომ წინა შესარჩევ ეტაპებზე უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ. მინდორზე უნდა დავამტკიცოთ, რომ კვიპროსში ფეხბურთის დონემ აიწია და არც ისეთი სუსტები ვართ, როგორც გვთვლიან“.

ამ მატჩისთვის კვიპროსელთა თავკაცმა ანგელოს ანასტასიადისმა ეს ფეხბურთელები გამოიძახა ნაკრებში:

***მეკარეები:*** *მიხალის მორფისი (აპოელ), სოფრონის ავგუსტი (აპოლონი), ანტონის გეორგალიდესი (ომონია);*

***მცველები:*** *ლამბროს ლამბრუ (ანორთოსისი), ანდრეას კონსტანტინუ (ანორთოსისი), პარასკევას ხრისტუ (აპოელ), მარიოს ელია (აპოელ), სტელიოს ოკარიდესი (აპოლონი), ელიას ხარალამბუსი (ომონია);*

***ნახევარმცველები:*** *კონსტანტინოს ხარალამბიდისი (აპოელ), ხრისტოფორუს მიხაილი (აპოელ), ხრისტოს მარანგოსი (აპოლონი), ალექსანდროს გარპოციდისი (აპოლონი), ევსტატიოს ალონეფტისი (ომონია), კონსტანტინოს მაკრიდისი (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), მარიოს ნიკოლაუ (პანიონიოსი, საბერძნეთი), კირიაკოს პავლუ (ომონია);*

***თავდამსხმელები:*** *იანის ოკასი (ომონია), მიხალის კონსტანტინუ (ირაკლისი, საბერძნეთი), იასემის იასემაკისი (არისი), დიმიტრის ხრისტოფი (ომონია).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

მინსკი. 5 სექტემბერი. 17 საათი. ტრაქტორი

## რუსეთი U21 — საქართველო U21

მსაჯები: ა. მაკკორტი, ტ. ფეირფილდი, დ. სტილი, დ. მალკოლმი (ყველა ჩრდ. ირლანდია); დელეგატი: ი. პისკანუ (რუმინეთი); დამკვირვებელი: ი. რინგი (უნგრეთი)

# რუსეთი მინსკშია და საქართველო ბელარუსში

ფოტოს ავტორი ვერ დადგინდა

**საქართველოს** და რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრებები მინსკში არიან.

ჩრდილოელები გუშინ ჩავიდნენ და სასტუმრო „მინსკში“ დაბინავდნენ, ჩვენებმა კი ერთი დღით დაასწრეს და „ბელარუსში“ იმყოფებიან.

ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მიხაილ ვერგენკო ამბობს, არცერთ ნაკრებს მცირე პრობლემაც კი არ შექმნიაო: „მე ორივე დელეგაციას შევხვდი. პრეტენზია არავის გამოუთქვამს, პირიქით, ასეთ მოკლე დროში მატჩის ორგანიზებისთვის მადლობა მივიღეთ“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 17:1 | 18 |
| რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 12 |
| ყაზახეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8:16 | 6 |
| პოლონეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:11 | 6 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 6:13 | 6 |

5 სექტემბერი
ყაზახეთი — ესპანეთი
9 სექტემბერი
ესპანეთი — რუსეთი
10 ოქტომბერი
საქართველო — პოლონეთი

# აქ სულ რუსებისკენ პრიან

## გიორგი ფოფხაძე: ჩვენი ქომაგები მთელი საქართველოა

„ბელარუსში ვართ და, ცხადია, ვგრძნობთ, რომ ყველა რუსების მხარესაა, მაგრამ ჩვენც გვყავს გულშემატკივრები და ეს მთელი საქართველოა, თავს გადავდებთ მოსაგებად; სპორტსმენი ვარ და არ მაქვს უფლება, ვთქვა, რომ პოლიტიკური კუთხით ვუყურებ მატჩს, მაგრამ ყველამ იცის, რომ მაინც ასეა, ხვალ სხვანაირი თამაშია“ — გვითხრა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებისა და დანიური „ვიბორგის“ მცველმა გიორგი ფოფხაძემ, რომელსაც გუშინ მინსკში დავუკავშირდით. როგორც ველოდით, რუსეთის მოძმე ქვეყანა არცთუ სტუმართმოყვარედ დახვედრია ქართველებს — ესეც ფოფხაძისგან შევიტყვეთ...

**— ხვალ რუსეთი — საქართველოა: რას ნიშნავს შენთვის ეს თამაში?**

— ყველაფერს! თავი უნდა დავდოთ და უნდა ვანახოთ რუსებს, რომ ძლიერები ვართ! წარმოუდგენელი განწყობა გვაქვს.

**— კეთილი. როგორ ჩახვედით მინსკში და რა პირობები დაგხვდათ?**

— მგზავრობამ დაგვღალა, პრაღიდან ჩამოვედით მინსკში. პირობებიც, რომ გითხრათ, იდეალურს ვერ დავარქმევ — რაზეა ლაპარაკი, როცა დღეს ჩვენ 50 წუთზე მეტი არ გვავარჯიშეს. რუსების ვარჯიში კი საათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა. ასე გვითხრეს, 50 წუთზე მეტი არ შეიძლება, უნდა დატოვოთ მინდორიო. აღარ ვწუწუნებთ — რაც უნდათ, ის გაგვიკეთონ, უნდა მოვიგოთ! ყველაზე კარგი პასუხი ეს იქნება მათ საქციელზე.

**— გუშინაც ცოტა ხანი გავარჯიშეს?**

— გუშინ ხანგრძლივი ვარჯიში არც გვქონია დაგეგმილი, 17 საათზე ჩავფრინდით და ცოტა ხანს ვიარჯიშეთ.

**— აჟიოტაჟი იგრძნობა თამაშის წინ?**

— კი. რუსი ჟურნალისტებიც იყვნენ მოსულები.

**— იგრძნობა, რომ მინსკში რუსებს ექნებათ მხარდაჭერა?**

— იგრძნობა და ეს ჩასვლამდეც ვიცოდით. რუსულენოვანი მეზობელი ქვეყანაა და არცაა გასაკვირი.

**— თუ იცი, ქართველი ქომაგები იქნებიან ხვალ სტადიონზე?**

— არ ვიცი, სტადიონზე რამდენი იქნებიან, მაგრამ ჩვენი გულშემატკივარი მთელი საქართველოა! ვიცით, რომ ჩვენი სამშობლო ძალიან გაიხარებს ჩვენი მოგებით. საბედნიეროდ, ყველანი ჯანზე ვართ და მოუთმენლად ველით, როდის დაიწყება თამაში. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდება...

**ილია ნანოგაშვილი**

გაზაფხულის ფოტო

ფოტოს ავტორი ვერ დადგინდა

# ფრთხილად უნდა ვიყოთ

## ბორის სტუკალოვი: მასპინძლები მხარს ჩვენ დაგვიჭერენ

დღეს რუსეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჩაატარებენ მინსკში. რუსთა მთავარი მწვრთნელი ბორის სტუკალოვი მოახლოებულ მატჩზე რუსეთის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდს ესაუბრა და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ...

**— მატჩის მოსკოვიდან მინსკში გადატანამ გეგმები სერიოზულად აგირიათ?**

— ცხადია, გარკვეული კორექტივების შეტანა მოგვიხდა, თუმცა, ხელი დიდად არ შეგვშლია. არსებული ვითარების გათვალისწინებით, თამაშის ნეიტრალურ სტადიონზე გადატანას ველოდით კიდეც. ანუ უეფას გადაწყვეტილებას მომზადებულნი შევხვდით.

**— იმედია, ქომაგთა მხარდაჭერა არც მინსკში მოგაკლდებათ...**

— მეც ასე ვფიქრობ. მოსკოვისნაირი მხურვალე მხარდაჭერა არ გვექნება, თუმცა მინსკი არც ისე შორსაა და აქედანაც წამოგვყვება გარკვეული ჯგუფი. ისედაც, ბელარუსი მაყურებელი ჩვენს მხარეს უნდა იყოს.

**— ახალგაზრდული ნაკრების გამამხნევებლად ვიტალი მუტკოც მოვიდა თქვენთან. რა გითხრათ?**

— მიმდინარე მოვლენებზე ვისაუბრეთ. შევთანხმდით, რომ არსებული რთული ვითარებიდან გამოსასვლელად ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

**— სხვა ჯგუფებში შექმნილი ვითარება უკვე შესწავლილი გექნებათ. პლეი ოფში გასასვლელად რამდენი ქულა გჭირდებათ?**

— თავი რომ სამშვიდობოს დავიგულოთ, ორივე მატჩის მოგება დაგვჭირდება. საქართველოსთან და ესპანეთთან მოგებით 18 ქულას მოვაგროვებთ, რაც საკმარისი იქნება.

**— საქართველოსთან მატჩში დისკვალიფიკაციის გამო გრანატი, ტარანოვი და კირილ კომბაროვი ვერ ითამაშებენ. რაიმე ექსპერიმენტს ხომ არ მიმართავთ?**

— ექსპერიმენტის დრო ნამდვილად არ არის. ჩვენი კიდევ შვიდი ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის ზღვარზეა და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

**— ტრავმების გამო მინსკურ მატჩს ძიუბა და ძაგოევი დააკლდებიან. მათი ესპანეთთან მატჩისთვის მომზადებინება რამდენად რეალურია?**

— მათი გამოჯანმრთელების პროცესს ყურადღებით ვაკვირდებით. ესპანეთთან თამაშისთვის შემადგენლობას საქართველოსთან მატჩის შემდეგ დავასახელებ. ისე, ესპანეთის ვიზები ყველა მათგანისთვის გამზადებულია.

**— შარშან თბილისში სენსაციურად დამარცხდით. ამ წაგებიდან რა დასკვნები გამოიტანეთ?**

— მაშინ არასახარბიელო პერიოდი გვქონდა. რუსეთის ჩემპიონატი დასრულებული იყო და მატჩისთვის სტამბოლში ვემზადებოდით. თითქოს ბიჭები კარგად იყვნენ მომზადებულნი, თუმცა მაინც წავაგეთ. ახლა გამოჩნდა, ამ მარცხმა როგორ გვაზარალა. სწორედ ეს ქულები გვაკლია.

**— სიტუაცია ისეთია, რომ საქართველოსთან და ესპანეთთან მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებს. გუნდში თუ არის სათანადო განწყობა?**

— ორივე მატჩი რთული იქნება. ესპანეთის ძალა ყველასთვის ცნობილია, საქართველოსთან კი ძალიან პრინციპული დაპირისპირება გვექნება. გამარჯვება გვჭირდება და ბიჭებს ეს კარგად აქვთ გათავისებული.

**— რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა თამაშზე როგორ აისახება?**

— პოლიტიკა სპორტში არ უნდა ავურიოთ და ამის თაობაზე ფეხბურთელებს თეორიულ მეცადინეობაზე უკვე ვუთხარი. მათ საკუთარი მიზნები გააჩნიათ და არასაფეხბურთო მოვლენებს ყურადღება არ უნდა მიაქციონ.

## საქართველო — რუსეთი

### ურთიერთშეხვედრები

**ეროვნული ნაკრები**

1998. ამ. თბილისი. 1:1 (ზ. ჯანაშია)
2003. ეჩშ. თბილისი. 1:0 (ასათიანი)
2003. ეჩშ. მოსკოვი. 1:3 (ა. იაშვილი)

**ახალგაზრდული ნაკრები**

1993. საერთაშორისო ტურნირი. ალკუდია. 0:0 (პენალტებით 5:4)
1997. ამ. თბილისი. 1:0 (ა. იაშვილი)
1998. ამ. გორი. 2:1 (დ. მუჯირი, ა. იაშვილი)
2000. ამ. თბილისი. 1:1 (წერეთელი)
2002. ეჩშ. თბილისი. 0:3
2003. ეჩშ. მოსკოვი. 2:3 (რ. გოცირიძე, ახალაია)
2007. ეჩშ. თბილისი. 2:0 (ბარაბაძე, ბ. გოცირიძე)

**18 წლამდელთა ნაკრები**

1996. ამ. მცხეთა. 4:1 (წიტაიშვილი-2, ალექსიძე-2)

**17-წლამდელთა ნაკრები**

1998. მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. მოსკოვი. 1:3 (რ. გოცირიძე)
2001. პალანგა. 2:3 (კაციტაძე-2)
2001. პალანგა. 0:0 (პენალტებით 3:5)
2005. პალანგა. 0:3
2006. პალანგა. 1:2 (ყენია)
2006. ეჩშ. თბილისი. 1:2 (ყენია)
2007. ამ. მოსკოვი. 2:1 (ძალამიძე, ანანიძე)
2007. ამ. ბრონიცი. 2:3 (ვაშაკიძე, ანანიძე)
2007. პალანგა. 0:4
2007. ამ. თბილისი. 2:1 (ანანიძე, შეყილაძე)
2007. ამ. თბილისი. 1:2 (ვაშაკიძე)

**16-წლამდელთა ნაკრები**

1995. ამ. მოსკოვი. 0:2
1995. ამ. მოსკოვი. 1:4 (წიტაიშვილი)
1996. ამ. მცხეთა. 0:1
2000. საერთაშორისო ტურნირი, მოსკოვი. 0:1
2000. პალანგა. 0:1

სულ: 27 მატჩი, +7=4-16, ბურთები 28:46

# უნდა მოვიგოთ!

## რუსეთი საქართველოს მხოლოდ პატარებში სჯობნის

**17 საათი,** მინსკის „ტრაქტორის" სტადიონი: რუსეთ — საქართველოს 21-წლამდელთა მატჩი. რაც არ უნდა ბევრი უარყონ, ეს სპორტულ პრინციპებს სცდება.

დღეს ქართველი გულშემატკივრების ყურადღება ბელარუსის დედაქალაქისკენაა მიპყრობილი — უნდა მოვიგოთ! სხვა არაფრის გაგონება სურთ პეტარ სეგრტსა და მის გაწვრთნილ ქართველ ახალგაზრდებს.

ჩვენს 21-წლამდელებს შარშან ნოემბერში ახლანდელზე შეთხელებული შემადგენლობა ჰყავდათ, მაგრამ რუს თანატოლებს ბდღვირი აღინეს — ქართულად ბურთის გორაობასა და ფანტაზიაში ხომ აჯობეს, ფიზიკურადაც დაჩაგრეს ჩრდილოელები.

საბჭოეთის დაშლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს რაგინდარა ასაკის ნაკრებები რაგინდარა მნიშვნელობის მატჩში 23-ჯერ გადაჰყრიან ერთმანეთს. სტატისტიკას თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ ჩრდილოელები პატარა ასაკში გვჯობნიან, თორემ ეროვნული ნაკრებების ურთიერთშეხვედრებში თანაფარდობაა და ახალგაზრდულებში ვჯობნით.

„კეთილ მეზობლებს" 21-წლამდელებში 10 წლის წინ იქ შეხვდნენ ჩვენები, სადაც ამ აგვისტოში რუსული ბომბები ცვიოდა. მაშინ ნაკრებს გიგლა იმნაძე წვრთნიდა: მუჯირიაშვილის გოლებით 2:1 ვიმარჯვეთ. „იაშკამ" ამ მატჩიდან 5 წლის თავზე ეროვნულიდანაც გაუტანა რუსებს, თუმც ეს შეხვედრა 1:3 დავთმეთ მოსკოვში.

ყველაზე დიდი სიხარული კი 2003 წლის 30 აპრილს იყო: ივო შუშაკის გაწვრთნილმა საქართველომ ვალერი გაზაევის რუსეთს მალხაზ ასათიანის თავურით 1:0 სძლია — ზეიმი იყო იმ ღამეს თბილისის ქუჩებში. კი, საქართველოს ნაკრებს მაშინდელ რუსეთზე ძლიერი ნაკრები, 1995 წლის ბულგარეთიც დაუმარცხებია, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო...

ქართველ 21-წლამდელებს ორჯერ წაუგიათ რუსებთან და ორჯერვე 2004 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევში. შინ ვახტანგ კოპალეიშვილის გუნდი 0:3 დამარცხდა. პლუს, ზურაბ ხიზანიშვილის გაძევებამაც იმოქმედა. სტუმრად კი რევაზ არველაძის თავკაცობით ჩვენებმა ბოლო წუთებზე გაუშვეს გადამწყვეტი ბურთი და 2:3 დათმეს.

ცუდია, რომ დღეს პეტარ სეგრტს 13 ფეხბურთელი დააკლდება, მაგრამ მათი უმეტესობა ამჟამად გერმანულ მაინცშია და ექტორ რაულ კუპერის ხელქვეით ვარჯიშობს — 6 სექტემბერს ხომ ირლანდიასთან მატჩია.

ისიც მოვისმინეთ, ყენია-მჭედლიძე-ღვინიანიძე და სხვა ახალგაზრდების რუსეთთან თამაში უპრიანი იქნებოდა, რადგან იქაა მთავარი ბრძოლაო, მაგრამ ეროვნული ნაკრები ხომ ყველაზე მაღლა დგას.

ასეც არ იყოს, წეღანაც ვთქვით, საქართველოზე შეყვარებულმა ხორვატმა მწვრთნელმა უკვე დაგვანახა, როგორ უნდა რუსების გამწარება. ამ კაცს დღეს დიდი, ძალიან ძალიან დიდი სიხარულის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის!..

**ილია ნანოგაშვილი**

# ოლიმპმა ბაიას ჯავრი სპარტაკზე ამოიყარა

**საქართველოს** ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა, მანამდე კი გუნდები ტესტ-მატჩებს ატარებენ.

გუშინ რუსთავის „ოლიმპი" „ფოლადზე" ცხინვალის „სპარტაკს" გაეჯიბრა და 2:0 მოუგო.

ცხინვალელებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ.

ცოტა ხნის წინ „ოლიმპმა" თასის მერვედფინალური შეხვედრა ზუგდიდის „ბაიასთან" უსახურად ჩაატარა და რუსთაველებმაც „სპარტაკთან" მატჩი თავიდანვე გააფთრებული შეტევებით დაიწყეს.

უკვე მე-5 წუთზე ცხინვალელთა მცველმა ვაჟა ქორიძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მალევე თემურ ლონლაძე დასცეს საჯარიმოში და პენალტის დარტყმა კოკა მიკუჩაძემ ითავა, თუმცა გიგა იაშვილმა არ გაატანინა.

სტუმრები ძნელად უმკლავდებოდნენ „ოლიმპის" შეტევებს, მიკუჩაძეს კიდევ მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ვერც ამჯერად იხეირა.

მე-20 წუთზე კი „სპარტაკმა" მეორე გოლიც მიიღო. გიორგი გაბიდაურმა ბურთი ცხრიანში ჩააჭედა.

„სპარტაკს" ერთხელაც არ დაურტყამს კარისკენ სახიფათოდ, სულ დაცვაზე უხდებოდა ფიქრი.

პირველივე ნახევარში გოგი ფიფიას თავით დარტყმული იაშვილმა ლამაზ ნახტომში მოიგერია.

მეორე ტაიმში რუსთაველთა შეტევებს სიმწვავე მოაკლდა, მაგრამ თამაშის სადავეებს კვლავაც ფლობდნენ. თამაშში კარგად ჩაერთო დენის დობროვოლსკი — ბევრი იმოძრავა და გუნდის თამაშიც მას მიჰყავდა.

დიდი ანგარიშით შეეძლო „ოლიმპს" მოგება, მაგრამ „სპარტაკის" კარის დარაჯმა გაგა ჩხეტიანს და გიორგი მეგრელაძეს გატანის საშუალება არ მისცა.

„ოლიმპში" ახალწვეული აქვსენტი გილაურიც გამოჩნდა, მას სატრანსფერო ფურცელი ჩამოუვიდა ირანიდან და უკვე რუსთაველთა საკუთრებაა.

ტრავმების გამო არ უთამაშიათ გიორგი ონიანს და გიორგი დეკანოსიძეს.

მორიგ ტესტ-მატჩს „ოლიმპი" 8 სექტემბერს მუხრანში „გაგრასთან" გამართავს, მერე კი ჩემპიონატიც დაიწყება.

**ნუკრი ლოლაძე**

*ოლიმპი: მერლანი (სტურუა 46), გილაური, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, თ. ლონლაძე, გ. სეთურიძე, ბაბუნაშვილი, გაბიდაური (დობროვოლსკი 46), ფეიქრიშვილი, ფიფია (გ. ჩხეტიანი 46), მიკუჩაძე (მეგრელაძე 61).*

*სპარტაკი: გ. იაშვილი, ვ. ქორიძე, გ. ივანიშვილი (ჯანგიძე 46), კობახიძე, მაილაშვილი, კ. ზამთარაძე, ზ. ხიზანიშვილი, ტყეშელაშვილი, გაბაშვილი (მებალიშვილი 46), ოსეფაშვილი (ბახტურიძე 38), მ. ლონლაძე (ქავთარაძე 60).*

გიორგი განუგრავა (მარცხნივ)

# ბოლესლავს განუს გოლი არ ეყო

**გიორგი განუგრავამ** პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა „ბოლესლავის" ძირითად გუნდში.

„ბოლესლავი" ჩეხეთის თასზე „ჰდავიცეს" ხვდებოდა, პირველი ტაიმის მერე 0:2 აგებდა, თუმცა ჯერ შეამცირა სხვაობა, 73-ე წუთზე კი „განუმ" გაათანაბრა.

ქართველი ნახევარმცველის გუნდმა პენალტებში 3:4 წააგო და ჩვენიანმა აქაც გაიტანა.

ერთიც: განუგრავა ამ მატჩში შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე.

**ილია ნანოგაშვილი**



ალან კერბიშლი



პაოლო დი კანიო

# ზურგს უკანა მხარეც აქვს

**ალან კერბიშლი** „ვესტ ჰემის“ მწვრთნელობიდან გაღადგა. მიზეზი კლუბის სატრანსფერო საქმიანობა ყოფილა.

კერძოდ, მწვრთნელმა, რომელიც სამსახურიდან ახალი სეზონის დაწყებიდან სულ რაღაც სამი ტურის შემდეგ წავიდა, განაცხადა, რომ „ვესტ ჰემის“ ოფისში მის ზურგსუკან ფეხბურთელების გაყიდვას დაეჩვივნენ.

და აი, შოკი: კერბიშლის ადგილზე ლონდონელ ფანთა ოდესღაც საყვარელი მოთამაშე პაოლო დი კანიო უნდა მოეყვანოთო, გამოვიდა ზემოხსენებული ოფისიდან ხმა.

ისე, დი კანიომდე „ვესტ ჰემის“ შეფებს სლავენ ბილიჩის ან ჰარი რედნაპის დაყოლიება სურდათ, მაგრამ ერთმაც და მეორემაც უარი შეუთვალათ, არ გვცალიაო.

მაგრამ დავუბრუნდეთ კერბიშლის ამბავს. აწ უკვე გადამდგარმა თავკაცმა განაცხადა, რომ იგი, გასულ ზაფხულს, მცველების ენტონ ფერდინანდისა და ჯორჯ მაკკარტნის მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გაყიდვამ გააბრაზა.

„ფეხბურთელების შერჩევა მწვრთნელისთვის პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხია და ამ საკითხზე „ვესტ ჰემის“ შეფებთან მოლაპარაკებულიც ვიყავი. მოლაპარაკების თანახმად, ფეხბურთელების არჩევა ჩემს მეტი არავისი საქმე არ უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, კლუბმა პირობა დაარღვია და ტრანსფერებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჩემს ზურგსუკან მიიღო. საბოლოოდ, ასეთმა დამოკიდებულებამ ერთადერთი არჩევანი დამიტოვა — უნდა წავსულიყავი.

ხოლო, „აპტონ პარკის“ ყოფილმა ვარსკვლავმა პაოლო დი კანიომ არ დამალა, რომ დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა საყვარელ სტადიონზე მწვრთნელის რანგში. 40 წლის იტალიელი საამისოდ სერიოზულადაც მოემზადა — სამწვრთნელო კურსები დაამთავრა, რომლის გარეშეც თანამდებობას არავინ მისცემს.

„ზაფხულზე მწვრთნელის დიპლომი მივიღე და ახლა ძალიან მინდა, საქმეს შევუდგე. სამსახურს ინგლისში ველი, რადგან ამ ქვეყანაში დაბრუნება ჩემი ოცნებაა და თან ვფიქრობ, უამრავი რამის მიტანაც შემიძლია. ჩემი გული „ვესტ ჰემს“ ეკუთვნის. იმედი მაქვს, დადგება დღე, როდესაც ლონდონში ჩავალ და „აპტონ პარკზე“ მწვრთნელის ადგილას დავჯდები“.

კერბიშლის სავარაუდო შემცვლელად კიდევ ერთ იტალიელს, „ინტერის“ ყოფილ თავკაც რობერტო მანჩინის მიიჩნევენ.

**პაპუნა კედია**

# ლავს რეკორდი ააცალეს

ბარუან ფელაინი (შუაში): უძვირესი ბელგიელი

**სატრანსფერო** ფანჯრის ბოლო დღეს „ევერტონის“ ხელმძღვანელობამ თავზე ხელი „აიღო“ და კლუბის ისტორიაში სარეკორდო თანხად, 18,5 მილიონ ევროდ „სტანდარდის“ თავდამსხმელი მარუან ფელაინი შეიძინა.

თავის მხრივ, 20 წლის ფელაინი ბელგიის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა. ბელგიელი შემტევი ნახევარმცველისა და ინგლისური კლუბის ბედი ერთმანეთს 5 წლით დაუკავშირდა.

ფელაინის თამაში „ევერტონის“ სკაუტებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლივერპულის“ — „სტანდარდის“ ორმატჩიანი დაკვირვების შედეგად მოსწონებიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადაბარგებულ „სტანდარდს“ სწორედ „ევერტონთან“ უწევს თამაში, თუმც წელს ევროტურნირებზე ფელაინი „ევერტონს“ ვეღარ დაეხმარება.

ფელაინს „სტანდარდში“ 84-ჯერ უთამაშია და 11 ბურთიც გაუტანია, 10-ჯერ ბელგიის ნაკრების მაისურაც ეცვა, მათ შორის, ოლიმპიადაზე, სადაც პირველივე მატჩში გაძევებით გამოირჩა.

„ჩვენ ევროპაში ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი შევიძინეთ. ავტომატურად, როგორც პრემიერლიგის ხმაურიან საქმეთა უმრავლესობა, ესეც სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მოხდა“ — განაცხადა „ევერტონის“ აღმასრულებელმა დირექტორმა რობერტ ელსტონმა.

თავად ფელაინი კი ინგლისურ პრემიერლიგაში გადასვლით აღფრთოვანებულია.

„მე მსოფლიო დონის ფეხბურთელი ვარ, მაგრამ ბელგიაში მსაჯებიც არ მწყალობდნენ. ყველა ათლეტური ორთაბრძოლისას მაფრთხილებდნენ. ინგლისში გადმოსვლაც ამიტომ მინდოდა. აქ მსაჯები თამაშის საშუალებას გაძლევენ. ინგლისში ფეხბურთს ნამდვილი ვაჟკაცები თამაშობენ“ — განაცხადა ბელგიელმა.

როგორც გითხარით, მარუან ფელაინის საქმე ბოლოწამს გაიჩარხა, თავად ფეხბურთელმა კი ეს ამბავი ყველაზე ბოლოს შეიტყო.

„არ ვიცი, რამდენი ხანი მსჯელობდნენ კლუბები. ინგლისელების ინტერესზე 31 აგვისტოს საღამოს 11 საათზე შევიტყვე და მაშინვე კლუბის წარმომადგენლებთან შესახვედრად გავემგზავრე“ — დასძინა ფელაინმა.

ფელაინის ტრანსფერი სარეკორდო კლუბის ისტორიაში ბოლო წამს გახდა, თორემ მას მოსკოვის ცსკას ბრაზილიელი თავდამსხმელი ვაგნერ ლავი უმიზნებდა, რომელიც ზამთარში გადავა მერსისაიდულ კლუბში და არმიელები მასში 12 მილიონ გირვანქას მიიღებენ.

ზამთრამდე დიდი დროა და „ევერტონმა“ საშემოდგომო ჭირნახული კარშიც დააბინავა. ლივერპულელებმა „უიგანიდან“ 31 წლის მეკარე კარლო ნეში გადაიბირეს და მასთან 2+1 სისტემის კონტრაქტი გააფორმეს.

ნეშისთვის კი პრემიერლიგა მარტო „უიგანით“ არ შემოიფარგლება, მას მანამდე „სიტისა“ და „მიდლსბროშიც“ უთამაშია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლეგროტალიე არ ხუმრობს

**ტურინის** „იუვენტუსის“ მცველი ნიკოლა ლეგროტალიე ამ სეზონში ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი და „ბებერ ქალბატონს“, როგორც სერია A-ში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს. „იუვეს“ არცერთი კლუბის არ ეშინია, პირიქით, ჩვენს მოწინააღმდეგეებს უნდა შეეშინდეთ, რადგან ბრძოლას ბოლომდე ვაპირებთ. „ინტერთან“ დამოკიდებულებაში განსაკუთრებით დაუნდობელნი ვიქნებით და ამას მალე გაიგებენ. „იუვე“ გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგაშიც გააოცებს, განსაკუთრებით, თუ ჯგუფიდან პლეი ოფში გასვლას მოვახერხებთ“ — განაცხადა იტალიელმა ფეხბურთელმა.

# ერთგული გრიფონი

**არგენტინელმა** თავდამსხმელმა დიეგო მილიტომ განმარტა, თუ რატომ არჩია „ტოტენჰემში“ გადასვლას „ჯენოაში“ დაბრუნება: „ვიცი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. აქ ჩემი სახლია და ჩემი გულშემატკივრებიც მელოდებოდნენ. „ტოტენჰემში“ გადასვლის წინააღმდეგი ვიყავი და ყოველთვის ვიცოდი, რომ ოდესმე „ჯენოაში“ დავბრუნდებოდი“ — თქვა მილიტომ, რომელიც „სარაგოსაში“ გადაბარგებამდე, 2004-05 წლებში სერია B-ში გრიფონების შემადგენლობაში გამოდიოდა და 59 მატჩში 33 გოლის გატანა შეძლო.

# შვილმა მამა შეცვალა

**გუშინ** ბერგამოს „ატალანტას“ დირექტორთა საბჭომ კლუბის ახალ პრეზიდენტად ალესანდრო რუჯერი აირჩია, რომელმაც ამ თანამდებობაზე საკუთარი მამა ივან რუჯერი შეცვალა. ივანს იანვარში ექიმებმა ანევრიზმი აღმოუჩინეს, რაც გახდა კიდეც ამ ცვლილების მიზეზი. ალესანდრო იანვრიდან მოყოლებული „ნერაძურის“ გენერალური მენეჯერის მოვალეობას ასრულებდა, ამიერიდან კი კლუბის სრულფასოვანი პრეზიდენტი იქნება.

# კაკა, დიგაუ და ვალიანი

**იტალიური** „მილანის“ ბრაზილიელმა პლეიმეიკერმა რიკარდუ კაკამ აღიარა, რომ „ბოლონიას“ ნახევარმცველის ფრანჩესკო ვალიანის თამაში მისთვის აღმოჩენა არ ყოფილა. სერია A-ს პირველ ტურში სწორედ ამ ფეხბურთელმა გაუტანა „როსონერის“ გამარჯვების გოლი. „არ გამკვირვებია, რომ გოლი სწორედ ვალიანიმ გაგვიტანა. ჩემი ძმა დიგაუ მიყვებოდა ამ ნახევარმცველის შესახებ, რომელთან ერთადაც „რომინის“ შემადგენლობაში გამოდიოდა. მან მირჩია, რომ ვალიანისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია, რადგან სერია B-ში ამ ფეხბურთელმა საგრძნობლად მოუმატა. ვერ ვიტყვი, რომ მას უბრალოდ გაუმართლა, ვალიანის ასეთი გოლები წარსულშიც არაერთი გაუტანია“ — აღნიშნა კაკამ.

# შვედების დანაკარგი

**მსოფლიო** 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებამდე შვედეთის ნაკრებს ორი ნახევარმცველი — ანდრეას სვენსონი და კრისტიან ვილჰელმსონი დააკლდა. სკანდინავიელებმა ტრავმირებული დუეტის ნაცვლად შვეიცარიული „ბაზელიდან“ ბეჰრანგ სევარი გამოიძახეს.

# ასტურიული უარი

**გავრცელებული** ინფორმაციით, სატრანსფერო ფანჯრის უკანასკნელ დღეს ინგლისურმა „ბოლტონმა“ ხიხონის „სპორტინგს“ წინადადებით ორჯერ მიმართა. „უონდერერსს“ ესპანელთა ნახევარმცველის — მიჩელის შეძენა სურდა და ასტურიელებს ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 2,9 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, თუმცა „სპორტინგის“ ხელმძღვანელობამ კლუბის აღსაზრდელის გაშვებაზე უარი განაცხადა, თანაც მიჩელის ფასიც ბევრად მეტი — 10 მილიონი გირვანქა ყოფილა.

# კარლიტო სიტის შესახებ

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** თავდამსხმელმა კარლოს ტევესმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტი“ რობინიოს შეძენით საკმაოდ გაძლიერდა და ამ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაც შეუძლია: „ისინი სერიოზულად გაძლიერდნენ, განსაკუთრებით რობინიოს შეძენით. გულშემატკივარი საგანგებოდ მოდის სტადიონზე, რომ ასეთი ფეხბურთელების თამაში ნახოს. დარწმუნებული ვარ, პრემიერლიგის მცველებს მისი გაჩერება ძალიან გაუჭირდებათ“ — ბრძანა არგენტინელმა.

# ლევი რამოსთან შეთანხმებით მოქმედებს

**ინგლისური** „ტოტენჰემ ჰოსპურის“ პრეზიდენტის დენიელ ლევის თქმით, კლუბის მიერ ზაფხულში განხორციელებული ყველა ტრანსფერი, მათ შორის კინი-ბერბატოვის დუეტის წასვლა, „დეზების“ მთავარ მწვრთნელ ხუანდე რამოსთან შეთანხმებით განხორციელდა. „ბერბატოვის და კინის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილება სამწვრთნელო შტაბთან კონსულტაციის შემდეგ მიიღეს — აღნიშნა ლევიმ — ხუანდე რამოსი სრულებით სამართლიანად და კორექტულად მოიქცა, როდესაც არ დააკავა ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც კლუბის ღირსების დაცვა არ სურდათ“.

**არჩილ ქოგბაძე**

# მეჭამ მისამართი შეიცვალა მანჩესტერელები ბენზინის რიგში

**პამელა ანდერსონი** „მაშველების“ წითელ საცურაო კოსტუმს „მანჩესტერ სიტის“ ცისფერ ფორმაში ცვლისო, დარხა ხმები. ყოველ შემთხვევაში ჰოლივუდელი სექსსუმბარა პრემიერლიგური კლუბის ახალ მეპატრონეს, დოქტორ სულეიმან ალ ფაჰიმს ფოტოკამერის წინ ისე მიეხახუნა, რომ ამ უკანასკნელს ღიმილი ერთი ყურიდან მეორემდე გაუფართოვდა.

რატომ გამოჩხრიკა ინგლისურმა პრესამ ეს ამბავი? გასაგებია, რატომაც. სწორედ იმიტომ, რომ ის ინგლისური პრესაა და გამოუჩხრეკავს და შეუსწავლელს არაფერს ტოვებს. საკმარისია, ამა თუ იმ კაცმა რაიმეთი საეჭვო ყურადღება დაიმსახუროს, რომ მისი პირადი თუ პროფესიული ცხოვრება ყოველდღიური განხილვის საგანი გახდება. დოქტორი ალ ფაჰიმი კი სწორედ რომ მორევში გადაეშვა — 1 სექტემბერს პრემიერლიგის კლუბი „მანჩესტერ სიტი“ იყიდა. ეს იყო მთელი მსოფლიოსთვის მოულოდნელი, ეფექტური ნაბიჯი. გადახდილი თანხა — 220 მილიონი გირვანქა; ამბიცია — დაუფარავი და უსასრულო; ფული — ულევი...

როგორც ინგლისური ტაბლოიდები იუწყებიან, ალ ფაჰიმთან ფოტოები აქვთ გადაღებული ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავებსაც. კერძოდ, დემი მურსა და ეშტონ კატჩერს ერთად, ლეონარდო დი კაპრიოს კი ცალკე... მოკლედ, აბუდაბელი მილიარდერის სამახსოვროდ დაჩხაკუნებულ სურათებს თავად ხედავთ.

და, რაც მთავარია, ეს ფოტოები „მანჩესტერ სიტის“ ყიდვის შემდეგ როდია გადაღებული, ანუ დოქტორი ალ ფაჰიმი მსოფლიოს კინოდედაქალაქის საზოგადოებამ ფეხბურთის გამო როდი გაიცნო. ეს ჩვენ შევიტყეთ მისი და მისი ფულების ამბავი ახლა, თორემ...

და კიდევ, რაკი სიტყვამ სულ სელებრითი-სელებრითი ხალხი მოიტანა, კიდევ ერთ ვარსკვლავს, 41 წლის როკმენ ნოელ გალაჰერს მოვუსმინოთ. ვინ-ვინ და გალაჰერი, მოგეხსენებათ, ოდითგან „სიტის“ ფანია, 90-იან წლებში კი პატრონობდა კიდეც საყვარელ კლუბს.

„დილით, ახალგაღვიძებულს, 19 მესიჯი დამხვდა. ჩვეულებრივ ეს იმას ნიშნავს, რომ წინა დღეს ინტერვიუში ვთქვი ისეთი რაღაც, რამაც ვიღაც ძალიან გააბრაზა ან სახლიდან მიკავშირდებიან ცუდი ამბის შესატყობინებლად. მაგრამ იმ დღეს სხვა ტიპის ცნობა დამხვდა — ჩვენ არაბმა პრინცმა გვიყიდაო. ეს ფსიქოლოგიური დარტყმა იყო. თავიდან სიცილი ამიტყდა, რადგან არ მჯეროდა, რომ ეს მართლაც ასე მოხდა. ეს ყველაფერი ბოლომდე ახლაც ვერ დამიჯერებია, მაგრამ იმავე საღამოს, სანამ სცენაზე გავიდოდი, შემატყობინეს, რომ რობინიოც ვიყიდეთ. რა შეიძლება ამაზე ითქვას? ხომ წარმოგიდგენიათ, რა ფული შესთავაზეს ამ კაცს, რომ თავი დაადო და „სიტიში“ წამოვიდა, გუნდში, რომელიც ჩემპიონთა ლიგაშიც კი არ თამაშობს.

ძალიან მიხარია, რომ ჩვენ, სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს დიმიტარ ბერბატოვის ყიდვაც ვცადეთ და ამით „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბულგარელის შესაძენად რამდენიმე მილიონით მეტი დავახარჯინეთ.

სულეიმან ალ ფაჰიმი და პამელა ანდერსონი

სულეიმან ალ ფაჰიმი და ლეონარდო დი კაპრიო

ხალხი, რომელმაც ჩვენი კლუბი იყიდა, რომან აბრამოვიჩზე ათჯერ მდიდარია. მათ შემოსავალი ნავთობიდან აქვთ. აი, რაც შეეხება ამერიკელებს, რომლებიც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფლობენ, მათი ფული კრედიტია და მეტი არაფერი.

მოკლედ, ძალიან სასიამოვნოა იმის წარმოდგენა, რომ ამიერიდან თითეული ლიტრი ბენზინი, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანები იყიდიან, ჩვენს სატრანსფერო სალაროს გაზრდის.

ყოველთვის ვიცოდი, რომ „მანჩესტერ სიტისადმი“ 40-წლიანი ერთგულება ადრე თუ გვიან დამიფასდებოდა. ვიცოდი, რომ დადგებოდა დღე, როდესაც ყველაფერი შეიცვლებოდა, უბრალოდ, არ მეგონა, ასე თუ მოხდებოდა. თვალწინ მიდგას, როგორ ამთავრებს ჯოზე მაურინიუ კარიერას იქ, სადღაც, მარკ ჰიუზი კი ტოპ-მწვრთნელი ხდება. და კიდევ, იმის თქმა შემიძლია, რომ თუკი ჩვენს ახალ მეპატრონეს ამდენი ფული აქვს და ჯიბეზე ხელის გაკვრასაც არ დაიზარებს, მზად ვარ, ნებისმიერ წვეულებაზე მივიდე და ვიმღეროო.

არ ვამბობ, რომ ამ სეზონშივე ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ მეორე მხრივ, ვინ იცის... ინგლისური ფეხბურთის ახალი მექა ამიერიდან ხომ მიდლ-ისტლენდია“.

**პაპუნა ძედია**

# რობინიო — ბრაზილიური ფეხბურთის სირცხვილი

**მთელი** ზაფხული „ჩელსიში“ იქაჩებოდა და თავი „მანჩესტერ სიტიში“ ამოყო. მის სანაცვლოდ „რეალს“ 32 მილიონ 500 ათასი მიუთვალეს — ესაა ბრიტანეთისთვის სარეკორდო ტრანსფერი.

რობინიოს საქციელმა თურმე დედამისიც კი გააოგნა. ქალმა ვერ გაიგო, თუ რატომ არ ისურვა მისმა შვილმა ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდში გადასვლა.

„სანტოსის“ (რობინიოს ყოფილი გუნდი) პრეზიდენტმა მარსელუ ტეიშეირამ პირდაპირ დაახეთქა: „ესაა ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდი. უამრავი ხალხის სათაყვანებელმა ფეხბურთელმა სულელური ნაბიჯი გადაგა“.

„გვრცხვენია, რომ ის „სანტოსის“ მოთამაშე იყო“— პრეზიდენტს არ ჩამორჩა მწვრთნელი ჯოზე ფერნანდუში.

ცინიკური სიტყვა თქვა პელემ: „ჩელსის“ აშკარად გაუმართლა, რომ რობინიო ვერ იყიდა. ამ ბიჭს სერიოზული კონსულტაციები სჭირდება. მისი მრჩევლები ნამდვილად გონებაჩლუნგები არიან“.

„მესმის, რატომაც მაკრიტიკებს პელე — ბრძანა რობინიომ — ფეხბურთის „მეფეა“, მაგრამ ჩემს ადგილზე ისიც ასე მოიქცეოდა.

„რეალს“ მე არ ვჭირდებოდი. მათ ჩემი გამოყენება კრიშტიანუ რონალდუს ტრასფერში უნდოდათ. როცა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გარიგება ჩაშალათ, უცბად გაირკვა, რომ „რეალისთვის“ ისევ სასურველი გავხდი.

მე თუ მათ გეგმაში არ შევდიოდი, გამოდის, რომ იქ არ უნდა დავრჩენილიყავი და ასეც ვუთხარი კლუბის პრეზიდენტს რამონ კალდერონს.

სხვათა შორის, მან მედიას განუცხადა, ტირილით ვეხვეწებოდი გაყიდვასო. სინამდვილეში კი იმიტომ ვტიროდი, რომ ოლიმპიადაზე არ გამიშვეს.

ჩემი პირველი მიზანი „ჩელსიში“ გადასვლა იყო. ესაა ერთადერთი კლუბი, რომელიც „რეალს“ ოფიციალურად ევაჭრებოდა, მაგრამ რეალელები იმან გააცოფა, რომ „ჩელსიმ“ ჩემი გვარით მაისურების გაყიდვა მანამდე დაიწყო, სანამ მოლაპარაკება დასრულდებოდა. რომან აბრამოვიჩის კლუბმა ბოლო მომენტში არ ისურვა „რეალის“ მიერ დასახელებული თანხის გადახდა და ამ დროს „მანჩესტერ სიტიც“ გამოჩნდა“. დარწმუნებული ვარ, რომ კარგ გუნდში გადავედი, რომელიც ჯილდოებისთვის იბრძოლებს. „სიტი“ ოთხი წლის წინანდელი „ჩელსია“.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჩილე ბრაზილიას კვირას უმასპინძლებს. რობინიო ნაკრების ბაზაზე ვერტმფრენით მიბრძანდა.

ბრაზილიელები სამშაბათს შეიკრიბნენ, რობინიო კი ინგლისში იყო „სიტისთან“ ქალაქებზე ხელის მოსაწერად და ამიტომ დააგვიანდა.

„ვერტმფრენით ჩასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ ევროპიდან გვიან ჩამოვედი და სხვა გზა არ მქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვარჯიშს ვერ მივასწრებდი“ — თქვა ფეხბურთელმა.



ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის“ ყოფილი ნახევამცველის რეი უილკინსის აზრით, აბრამოვიჩის კლუბი სწორად მოიქცა, რომ რობინიოში ფული არ გადაყარა: „ჩელსის“ პოზიციას ვამართლებ. გასაგებად უთხრეს „რეალს“, რომ 40 მილიონ ევროზე მეტს არ გადაიხდიდნენ.

რობინიო კი, ნაცვლად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კლუბში გადასულიყო, „სიტიში“ თამაში არჩია. ფეხბურთელის თავმოყვარეობის თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ის საკუთარი ამბიციის წინააღმდეგ წავიდა.

„სიტის“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი ახლა იგივე პრობლემის წინაშე დადგება, რაც „ჩელსისთვის“ უკვე ცნობილია. მანჩესტერელებს იაფად ფეხბურთელს აღარავინ მიჰყიდის, რაკი იციან, რომ ბლომად ფული აქვთ და გადამხდელები არიან. თუ რობინიომ ვერ გაამართლა, ჰიუზს დიდი პრობლემები შეექმნება“.

„მანჩესტერ სიტის“ ესპანელ მცველ ხავიერ გარიდოს უხარია, რომ მის კლუბს „ჩელსითან“ კონკურენცია შეუძლია: „31 აგვისტოს ბოლო წუთამდე ფეხბურთელებმა არ ვიცოდით რობინიოს ამბავი. ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო. „სიტის“ წინა პატრონი ტაქსინ შინავატრა რონალდინოს ყიდვას ცდილობდა, მაგრამ არ გამოუვიდა და აი, უცბად, რობინიო ჩვენი თანაგუნდელი გახდა. მხოლოდ ორ-სამ კლუბს თუ შეუძლია ფეხბურთელში ამდენი ფულის გადახდა. ამით რომან აბრამოვიჩს ვაფრთხილებთ, რომ ახლა „სიტიც“ ძალიან მდიდარია და მალე „ჩელსის“ დაჩრდილავს“.

**გაგა ხუციშვილი**

# კევინ კიგანის ულტიმატუმი

**კევინ კიგანმა** „ნიუკასლ იუნაიტედის“ დირექტორატს განუცხადა: გაუშვით დენის უაიზი თანამდებობიდან და მე დავრჩები.

„კაჭკაჭების“ ოფისიდან გამოვიდა ხმები, რომ მწვრთნელისა და კლუბის მეპატრონის, მაიკლ ეშლის შეხვედრისას პირველს ფრიადი ულტიმატუმები წაუყენებია. კერძოდ:

1. გაუშვან საფეხბურთო საქმეთა დირექტორი დენის უაიზი;

2. გაუშვან ვიცე-პრეზიდენტი ტონი ხიმენესი, რომელსაც ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევა აბარია;

3. მის გარეშე არ განხორციელდეს არცერთი ტრანსფერი (როგორც ყიდვა, ასევე გაყიდვა) და თითოეულ ფეხბურთელთან პირობებზე ლაპარაკის უფლება მას მიეცეს.

ამ ულტიმატუმის წაყენებამდე 24 საათით ადრე კი საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ კუთხეში მიყენებული კიგანი გუნდიდან უნდა წასულიყო.

მიზეზი გეხსომებათ: გასულ ზაფხულს მთელი „ნიუკასლ იუნაიტედი“ იყიდებოდა, შემატებით კი გუნდს მხოლოდ ორი მოთამაშე, ჩისკო და ინასიო გონსალესი შეემატა და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მწვრთნელის ნებართვის გარეშე მოხდა.

ახლა კი ასეა, თუ კევინ კიგანის ულტიმატუმები არ გაჭრის და „მიკი მაუსი“ სამსახურიდან წავა, როგორც ამბობენ, იანვარში მისადმი ერთგული უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ქუდს დაიხურავს და ეშლის ახალი გუნდი გაუხდება შესაკრები.

**პაპუნა კედია**

# ძამპარინოზის სერიას დაიწყო

| 10138 | | ფროზინონე-ბარი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10139 | | ტრიესტინა-აველინო | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10140 | | ჩიტადელა-სალერნიტანა | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10143 | | რიმინი-მოდენა | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10163 | | სერესი-ალბასეტე | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10164 | | ლას პალმასი-ელჩე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10165 | | სევილია ბ-სალამანკა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10166 | | ეიბარი-ტენერიფე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10167 | | ალავესი-კორდობა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10170 | | კასტელონი-სელტა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10171 | | მურსია-ლევანტე | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10172 | | ხირონა-ალიანტე | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10207 | | ლოვ ჰამი-ნიბერგსუნდი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10208 | | ალტა-მოსი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10209 | | ჰიოდი-პაუგესუნდი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10211 | | ნოტოდენი-სოგნდალი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10214 | | სარპსბორგი-ბრინი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10384 | | კლაიდი-როსი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10385 | | ლივინგსტონი-პარტიკი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10386 | | ჭუინი-მორტონი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10387 | | კოუდენბითი-ერდრი | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |
| 10397 | | ფრედერისია-ლიუნგბიუ | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10398 | | ფრემადი-აკადემისკი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10399 | | ჰვიდოვრე-როსკილდე | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10400 | | სილკებორგი-ჰერფიოლგე | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10401 | | სკივე-ნესტვედი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10402 | | ლოლანდი-ტისტედი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10060 | | ჩილე-ბრაზილია | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |
| 10137 | | ვიჩენცა-ემპოლი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |

# კალათბურთი მათემატიკა არ არის
## უცხოეთი საქართველოს მენტალურად აწევს

ეს ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და ჩვენც გაზეთის ფურცლებზე გადმოვიტანეთ...

ორ დღეში საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება და ლუქსემბურგთან მატჩით B დივიზიონიდან ელიტაში ასანაცვლებელ გზას შეუყვება. იგორ კოკოშკოვის გუნდს წლეულს 6-დან 17 სექტემბრამდე 4 მატჩი ელის, ხოლო მეორე წრის შეხვედრები მომავალი წლის შემოდგომაზე გაიმართება და ჯგუფური ეტაპიც ამით დასრულდება. მანამდე დიდი დროა და საქართველოს ნაკრები კარსმომდგარ 4 მატჩზეა კონცენტრირებული. 14 აგვისტოდან კოკოშკოვის გუნდი უცხოეთშია და სხვადასხვა ქვეყნებში უკვე 7 ამხანაგური მატჩი გამართა. ქართველები მოსამზადებელი ეტაპის დასკვნით ეტაპს ავსტრიის ქალაქ შტაინბრუნში გადიან და ჩვენი ნაკრების სერბ დამრიგებელ იგორ კოკოშკოვსაც იქ დავუკავშირდით გუნდში არსებული სიტუაციის გასაგებად...

— გუნდში საკმაოდ კარგი ატმოსფეროა. ნაკრების ყველა წევრი მაქსიმალურადაა მობილიზებული და საბრძოლველად მომართული. რაც მთავარია, ყველა დისციპლინის დაცვით ეკიდება საქმეს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ნაკრებში საქმისადმი მიდგომის კულტურა იცვლება და წარმატებისთვის ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია.

**— თუ ხართ გუნდის სათამაშო ფორმით კმაყოფილი?**

— მწვრთნელი არასდროს უნდა იყოს კმაყოფილი, რადგან დასახვეწი და გასაუმჯობესებელი ყოველთვის არის. მიუხედავად ამისა, იმ ვითარების გათვალისწინებით, რაშიც საქართველოს ნაკრები აღმოჩნდა, უკმაყოფილების საბაბი ნაკლებად მაქვს. ამაში უპირველესად საქართველოში მომხდარ ამბებს ვგულისხმობ, რის გამოც საშინაო მატჩები მეტოქე ქვეყნებში გადაიტანეს და ჩვენც ოვეზე მეტი გვიწევს უცხოეთში ყოფნა. ეს საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური და მენტალური წნეხია ყველა მოთამაშისთვის. არ არსებობს მსოფლიოში გუნდი, ამდენ ხანს რომ იყოს სამშობლოს მოწყვეტილი და ამ დონის ტურნირის 4 მატჩი სტუმრად ითამაშოს.

— ერთის მხრივ, შეიძლება დადებითიც იყოს, ამდენი ხანი რომ გუნდი ერთადაა...

— რა თქმა უნდა, არის დადებითი მომენტიც, მაგრამ ეს კარგად უნდა გამოვიყენოთ. გუნდი შეკრულია, შეთამაშებული და ყველა კარგად იცის თავისი საქმე. თითოეული მოთამაშის ფუნქცია გუნდში ზუსტადაა განსაზღვრული და ახლა ჯერი მათზეა, როგორ შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანას. მიუხედავად იმ ფორსმაჟორული მდგომარეობისა, რაშიც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აღმოჩნდა, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს, რათა კარგად მოვმზადებულიყავით. ასეთი რამ ათასში ერთხელ ხდება, თუმცა ფედერაციამ უმალ იპოვა გამოსავალი და გუნდს მომზადების იდეალური პირობები შეუქმნა.

**— თავად მოთამაშეები როგორ ფორმაში არიან და ტრავმა ხომ არავის აწუხებს?**

— არავინაა ტრავმირებული, მხოლოდ ტაირონ ელისს აწუხებდა მუხლი და ავსტრიასთან მატჩებში დავასვენეთ, რათა რისკი დიდი იყო. ახლა ელისი ჯანმრთელადაა და უკვე მესამე დღეა, სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ყველა ოპტიმალურ ფორმაშია და არც მობილიზება აკლია ვინმეს.

**— რას იტყვით მოსამზადებელ მატჩებზე, კმაყოფილი ხართ შედეგებით?**

— შედეგი ამ ეტაპზე არაა მნიშვნელოვანი, თუმცა იყო თამაშები, რომელთა წაგებამ გული დამწყვიტა. ავსტრია არაა ის გუნდი, რომ 2 თამაში მოგვიგოს, მაგრამ მასპინძლებმა ჩვენზე უკეთ ითამაშეს და ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. უპირველესად, ჩვენი გადაღლილობა. 6 დღეში 5 მატჩი გავმართეთ, რაც არცერთ ევროპულ გუნდს არ გაუკეთებია მოსამზადებელ პერიოდში. ავსტრიამდე ძალიან ძლიერ მეტოქეებს შევხვდით და გადავიღალეთ როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად. ელისის არყოფნა გამართლება არაა, მაგრამ ამანაც ითამაშა თავისი როლი. მანამდელ მატჩებში ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი სწორედ ელისი გახლდათ და ავსტრიელებთან ის ძალიან დაგვაკლდა.

**— დანარჩენი მატჩებით ალბათ კმაყოფილი ხართ...**

— უკრაინაში ძალიან ძლიერად ვითამაშეთ, ასევე ლატვიაში, როცა მასპინძლებს მოვუგეთ. გუნდმა აჩვენა ხასიათი და იმაში დარწმუნდა, რომ თუ გამართულად ითამაშებ, გაცილებით ძლიერი მეტოქის დამარცხებაც შეიძლება, არათუ იმ გუნდებისა, რომლებსაც მომავალ საკვალიფიკაციოში ვხვდებით.

**— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ოთხივე გასვლითი მატჩის მოგება?**

— კარგი შანსი გვაქვს, ყველა მატჩი მოვიგოთ, მაგრამ წინასწარ გადაჭრით რამის თქმა რომ უაზრობაა, ესეც ყველას კარგად მოეხსენება. ის, რომ პოტენციალი გაგვაჩნია და გუნდში არსებული სიტუაცია მოგების იმედს იძლევა, ეს თვალნათელია. არის მომენტები, რომლების გავლენასაც ჩვენს გუნდზე მალე დავინახავთ. კალათბურთი არაა მათემატიკა, აქ არ არსებობს კანონები, რომ ძლიერმა აუცილებლად უნდა მოუგოს სუსტს. ამის მაგალითს იძლევა თუნდაც ფინეთი, რომლის შარშან ავიდა A დივიზიონში და უნგრეთს სტუმრად ხომ მოუგო და შინ სერბეთიც დაამარცხა. არადა, საქართველოს ნაკრები შარშან ტოლსწორად ეთამაშა ფინეთს და რომ არა ისლანდიასთან დასანანი მარცხი, შესაძლებელია, ახლა ჩვენ ვყოფილიყავით A დივიზიონში.

# უგრეხელიძემ რიეკა იპოვა
## ქართველი ცენტრი წარსულს დაუბრუნდა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების კანდიდატმა დავით უგრეხელიძემ ახალი კლუბი მონახა. 208-სანტიმეტრიან ქართველ ცენტრს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ხორვატიის უმაღლესლიგელმა, ქალაქ რიეკას გუნდმა „კრავნერ ნოვი რესორტმა“. ესაა ახალი, სპონსორის საპატივცემულოდ დარქმეული სახელი, თორემ ეს გუნდი ევროპაში „ტრიგლავის“ სახელითაა ცნობილი და იქ უგრეხელიძეს 2000 წლის სეზონში უთამაშია.

„უგრე“ საქართველოს ნაკრებთან ერთად იყო მოსამზადებელ შეკრებაზე და იგორ კოკოშკოვის გუნდს უკრაინული ამხანაგური მატჩების შემდეგ, 17 აგვისტოს დაშორდა. როგორც უგრეხელიძემ თქვა, ახალ კლუბთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა და ეროვნულ გუნდს 22 აგვისტომდე თურქეთში შეუერთდებოდა. თუმცა ისე გავიდა 5 დღე, რომ დავითი ნაკრებში არ ჩასულა და თან ამ დროს ამერიკიდან ჩვენს ნაკრებში ჩავიდა „ატლანტა ჰოუქსის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია. შესაბამისად, უგრეხელიძე განზე დარჩა, ფაჩულიას გარდა კოკოშკოვს მეორე ცენტრიც ჰყავდა — გიორგი შერმადინი.

ასე და ამგვარად, უგრეხელიძე, რომელიც აქამდე სისტემატურად ირიცხებოდა საქართველოს ეროვნულ გუნდში, ნაკრების მიღმა დარჩა. მან განაგრძო დაწყებული სატრანსფერო საქმე და ყველაფერი სათავისოდ დააგვირგვინა.

რიეკას გუნდი არ არის ციდან ვარსკვლავების მწყვეტავი, მაგრამ ბოსნიურ „ნექტარს“, სადაც „უგრე“ გასულ სეზონში თამაშობდა, ნამდვილად ჯობს. თანაც, ხორვატიული ლიგა ბოსნიურს გაცილებით აღემატება და ქართველმა ცენტრმაც სათავისო ადგილი იპოვა.

უგრეხელიძე ერთ-ერთი ყველაზე „მომთაბარე“ ქართველი მოთამაშეა. მას უთამაშია ბევრ კლუბში, როგორც ქართულში, ასევე უცხოურში. მისი კარიერა დაიწყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში, თუმც როგორც გამორჩეული მონაცემების ახალგაზრდა, 16 წლის ასაკში სლოვენიაში გადაბარგდა, თუმცა მისმა მფლობელმა ლიუბლიანის „სლოვანმა“ ის „ტრიგლავში“ გაანათხოვრა. ერთი სეზონის შემდეგ უგრეხელიძე დაბრუნდა „სლოვანში“ და იქ ორი სეზონი გაატარა. მერე იყო სლოვენიური „პივოვარნა“, ბერძნული „პანიონიოსი“, თბილისის „თსუ-ნიკორა“, ისევ „პივოვარნა“ და 2006-07 წლების ზესონი დავითმა რუსთავის „ენერჯი-ინვესტში“ გაატარა. როგორც თავში ვთქვით, გასული სეზონი უგრეხელიძემ ბოსნიურ „ნექტარში“ ითამაშა და ახლა კვლავ ხორვატიის ჯერი დადგა.

**რამაზ ყაველაშვილი**

# საქართველო ფეხს არ იცვლის ქურციკები მეორეზე ახტნენ

**გასულ** უქმეებზე სამხრეთ აფრიკამ სამი ერის თასზე ავსტრალია 53:8 გაანადგურა და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში ერთი კვირის წინ დაკარგული ადგილი დაიბრუნა. „ქურციკებმა“ ამ გამარჯვებით 1,24 ქულა შემატეს თავიანთ რეიტინგლისტს და მესამედან მეორე ადგილზე გადავიდნენ. შესაბამისად, ავსტრალიელები მე-3 პოზიციაზე დაქვეითდნენ. პირველ ადგილზე კი კვლავაც ახალი ზელანდიაა.

საქართველოს ნაკრები 69,43 ქულით ისევ მე-14 პოზიციაზეა.

**ზურაბ მიგრიაული**

**IRB-ის რეიტინგი 2008**

| | | |
|---|---|---|
| 1(1) | ახ. ზელანდია | 91.21 |
| 2(3) | ს. აფრიკა | 87.75 |
| 3(2) | ავსტრალია | 86.52 |
| 4(4) | არგენტინა | 83.36 |
| 5(5) | ინგლისი | 83.16 |
| 6(6) | უელსი | 80.12 |
| 7(7) | საფრანგეთი | 78.99 |
| 8(8) | ირლანდია | 77.18 |
| 9(9) | შოტლანდია | 76.92 |
| 10(10) | იტალია | 75.57 |
| 11(11) | ფიჯი | 75.24 |
| 12(12) | სამოა | 72.57 |
| 13(13) | ტონგა | 70.05 |
| 14(14) | საქართველო | 69.43 |
| 15(15) | კანადა | 68.81 |
| 16(16) | იაპონია | 67.35 |
| 17(17) | რუმინეთი | 67.20 |
| 18(18) | რუსეთი | 63.94 |
| 19(19) | ურუგვაი | 63.69 |
| 20(20) | აშშ | 63.11 |
| 21(21) | ესპანეთი | 61.55 |
| 22(22) | კორეა | 59.02 |
| 23(23) | პორტუგალია | 58.88 |
| 24(24) | ჩილე | 57.07 |
| 25(25) | გერმანია | 57.05 |

ჩოგბურთი

# ლაბაძე დუეტშიც იგებს

**უკრაინის** ქალაქ ჩერკასკში მიმდინარეობს საჩოგბურთო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 50 ათასი ამერიკული დოლარია.

ამ ტურნირზე თამაშობს ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე, რომელმაც უკვე მოასწრო ერთეულთა და წყვილთა გათამაშებაში პირველი წრის შეხვედრების გამართვა და რაც მთავარია, გამარჯვება.

ერთეულთა შესახებ გუშინაც ვწერდით, რაც შეეხება წყვილებს, აქ ირაკლი ლაბაძე გერმანელ ბასტიან კინტელთან ერთად ჩოგნაობს.

პირველ წრეში ქართულ — გერმანულ წყვილს დაპირისპირება რუსების, ნიკოლაი ნესტეროვისა და პაველ კატლიაროვის დუეტთან მოუწია. მატჩი საბოლოოდ ჩვენებურისა და მისი პარტნიორის გამარჯვებით დასრულდა — 2:6 6:3 10:4.

ტურნირის მეორე წრეში ლაბაძესა და კინტელს უკრაინელებთან, სერგეი ბუბკასთან და სერგეი სტახოვსკისთან მოუწევთ შეხვედრა. ეს დუეტი ტურნირზე მეორე ნომრად არის განთესილი.

**გიორგი არაბული**

ჭადრაკი

# თურქეთის ლიდერი თორნიკე სანიკიძეა

**თურქულ** იზმირში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირზე ქართველმა თორნიკე სანიკიძემ მეექვსე შეხვედრა მოიგო და კვლავ სატურნირო ცხრილის თავშია, თორნიკემ მეექვსე ტურში თურქ საერთაშორისო დიდოსტატს სუატ ატალიკის მოუგო.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერებს ნახევარი ქულით სამი მოჭადრაკე ჩამორჩება: თურქი ბარის ესენი, დავით ჯოჯუა და დავით მაღალაშვილი.

და ერთი საჭადრაკო ამბავიც: ნონა გაფრინდაშვილის საჭადრაკო სასახლეში დაიწყო შესარჩევი თამაში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრების ორ კანდიდატს შორის. მერაბ გაგუნაშვილსა და დავით არუთინიანს შორის უკეთესი ოლიმპიადის ნაკრებში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს.

დანარჩენი წევრები კი არიან: ბადურ ჯობავა, ზვიად იზორია, ლევან ფანცულაია, და მიხეილ მჭედლიშვილი.

პირველ ტურში არუთინიანმა მხოლოდ ყაიმი გააზრხა.

**ნიკა ქოპაძე**

# რაგბი ქველმოქმედებასთან ერთად
## საქართველო რუსეთს, სადაც უნდა, იქ ეთამაშება

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო საქართველოს რაგბის კავშირი ძირითადად თბილისს შემოკედლებული ლტოლვილების მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული. შემოდგომის მოსვლასთან ერთად ქართული სარაგბო თემი ნელ-ნელა თავის ძირითად საქმიანობას უბრუნდება. 6 სექტემბერს ეროვნული ჩემპიონატი იწყება. 20-28 სექტემბერს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროსარბიელზე აქვს სათამაშო. შემდეგ ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი ჩამოდის და საერთათასოდ მოამზადებს ნაკრებს. ამ ყველაფერზე სასაუბროდ საქართველოს რაგბის კავშირის თავჯდომარეს გია ნიჟარაძეს მივმართეთ და ისიც არ დაგვზარდა ინტერვიუზე

— საქართველოში საომარ მოქმედებებს გამოქცეული ლტოლვილების ნაწილი საქართველოს რაგბის კავშირმა თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა. ამჟამად რა მდგომარეობაში არიან ისინი?

— როგორც იცით, ჩვენს მფარველობაში მყოფი ლტოლვილები სამ საბავშვო ბაღში გვყავს გადანაწილებული. გორის მცხოვრებლები თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ, დანარჩენებს კი ისევ ვპატრონობთ და ვეხმარებით. მიუხედავად იმისა, რომ რესურსები ცოტა არ იყოს, შემოგველია, მაინც გავაგრძელებთ ამ მიმართულებით საქველმოქმედო საქმიანობას, სანამ ეს საჭირო იქნება. ამჟამად განვიცდით საკვებისა და პირადი ჰიგიენის ნივთების ნაკლებობას.

— მგონი, დევნილები დასაწოლი საშუალებითაც არ იყვნენ უზრუნველყოფილნი?

— ასე თუ ისე, ეს პრობლემა გადავჭერით, მაგრამ კარგი იქნება, თუ ხარისხიანი ლეიბებით კიდევ დაგვეხმარებიან.

— მას მერე, რაც თქვენს თავზე ლტოლვილების მფარველობა აიღეთ, ზოგადად თუ დაგეხმარათ ვინმე?

— კი, ძალიან ბევრი მოხალისე გამოჩნდა. ბიზნესმენები, პირადი მეგობრები, სულ უცხო ხალხი. სხვადასხვა სასტუმროებმა გამოიჩინეს ინციატივა და ხელი წაგვაშველეს. მინდა, მომენტით ვისარგებლო და ყველა იმ ადამიანს მადლობა გადავუხადო, ვინც ამ მამულიშვილურ საქმეში გვერდში დაგვიდგა.

— ინიციატივა მხოლოდ კერძო პირებმა გამოიჩინეს, თუ სახელმწიფომაც შეიტანა თავისი წვლილი?

— რა თქმა უნდა, ეს საქმე სახელმწიფო ორგანოების ჩარევის გარეშე არ გამოვიდოდა. ძალიან დაგვეხმარა საქართველოს სავაჭრო პალატა. ასევე ჩვენ მოგვცეს უცხოეთიდან შემოსული ჰუმანიტარული ტვირთის განკარგვის საშუალებაც.

— თქვით, რესურსები გვეწურებაო. რას აპირებთ უახლოეს მომავალში?

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. დანამდვილებით ის ვიცით, რომ ქართველი ლეგიონერები აპირებენ, გამონახონ რესურსები და დაეხმარონ დევნილებს. სხვა მხრივ კი ჩვენ მოვლენების განვითარების მიხედვით ვიმოქმედებთ.

— დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ერთა თასზე საქართველოს ნაკრების საშინაო თამაშებს ხომ არ ემუქრება ნეიტრალურ მოედანზე გამართვა?

— არამგონია. ვფიქრობ, ნაკრების საშინაო თამაშები თბილისში ჩატარდება. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომ ნაკრებმა ნეიტრალურ მოედანზე ითამაშოს.

— ერთა თასზე რუსეთის ნაკრებთანაც მოგიწევთ შეხვედრა...

— IRB სადაც გადაწყვეტს, რუსებს იქ ვეთამაშებით. ჩვენ რუსეთში თამაშზეც არ გვაქვს პრობლემა.

— ტიმ ლეინი როდის აპირებს საქართველოში ჩამოსვლას და მუშაობის გაგრძელებას?

— ლეინი თბილისში ოქტომბერში ჩამოვა დამხმარე მწვრთნელთან ერთად და გუნდს საერთათასოდ მოამზადებს. ერთა თასამდე ლეინს უნდა, რომ საქართველოს ნაკრებმა ორი მაღალი დონის ტესტ-მატჩი ჩაატაროს.

— ერთ-ერთი შოტლანდიის A ნაკრებთან იგეგმება?

— ნამდვილად ასეა. როგორც იცით, საქართველოში უკვე იყვნენ შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მენეჯერი გაი რიჩარდსონი და A ნაკრების მენეჯერი ქალბატონი კარენ ბარნეტი. ისინი თბილისში სიტუაციის გასაცნობად ჩამოვიდნენ და უკან კმაყოფილები დაბრუნდნენ. პასუხი სექტემბრის შუა რიცხვებში უნდა ეთქვათ, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა შოტლანდიური მხარე დააფიქრა. პასუხს ველოდებით და იმედია, დადებითი იქნება.

— ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატებზეც გკითხავთ. ვინ ისარგებლებს თქვენი მხარდაჭერით?

— ამის შესახებ მე რამდენჯერმე უკვე განვაცხადე. ჩვენ მხარს გია ნაცვლიშვილს დავუჭერთ. არც ერთი კანდიდატის საწინააღმდეგო არ მაქვს, მაგრამ გია ნაცვლიშვილი უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოში რაგბის განვითარებაზე ზრუნავს. მან კახეთის გუბერნატორობის დროს დიდი ყურადღება მიაქცია კახეთში რაგბის პოპულარიზაციას და შვიდკაცა რაგბის ოლიმპიურ სახეობად ცნობის მომხრეცაა.

**ზურაბ მიგრიაული**

გია ნიჟარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ მესხაძე, კახა ჟვანია და ნიკა იზორია პეკინში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააცილა

# თენგიზ მესხაძე: ჩემი ბიჭების მჯერა პეკინში მედალი ომმა და ბადემ წაგვართვა

**პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრებიდან ორი მოკრივე ჩხუბობდა: ნიკოლოზ იზორია (57 კგ) და კახაბერ ჟვანია (69კგ). მათ ოლიმპიადის საგზური ბოლო სალიცენზიო ტურნირზე, საბერძნეთში მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, მოკრივეთა ნაკრების თავკაცი თენგიზ მესხაძე ჩინეთში გამგზავრების წინ ოპტიმისტურად იყო განწყობილი და „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა კიდეც, მედალს ველოდებიო... გუშინ თენგიზ მესხაძეს ვესაუბრეთ და განვლილი ოლიმპიადა შევაფასებინეთ**

— ოლიმპიადამდე ბიჭების მიერ ნაჩვენები შედეგები იმის თქმის საფუძველს მაძლევდა, რომ მათ მედლისთვის ბრძოლა შეეძლოთ. ყოველი ტურნირის მერე შედეგებს აუმჯობესებდნენ და სულ უფრო მეტ ორთაბრძოლას იგებდნენ. რაც მთავარია, ოლიმპიადას კარგ ფორმაში შეხვდნენ. ეს ყველაფერი იმედს მაძლევდა, რომ ქართველ ქომაგს გავახარებდით.

— კახა ჟვანიას პირველივე წრეში ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი დემეტრიუს ანდრადე შეხვდა...

— ჟვანია ანდრადეს შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზეც პირველივე წრეში შეხვდა და მაშინ 8 ქულით წააგო. ახლა კი მართლა მაგრად ეჩხუბა და ცოტა იღბალიც რომ ჩვენკენ ყოფილიყო, მოუგებდა. კახას ჩხუბი 10 აგვისტოს მოუწია, მაშინ კი უკვე ისეთი სიტუაცია იყო, ოლიმპიადიდან წამოსვლას ვაპირებდით. ისე მოხდა, რომ ჟვანიამ საჭმელი ჭამა და როცა გადაწყდა, რომ ვრჩებოდით, უკვე კილონახევარი ჰქონდა მომატებული. აწონვა დილით იყო, ბიჭი ადრე ავაყენე და წონა დავაკლებინე. გამოსვლა საღამოს გვქონდა და ძალების აღდგენა მოასწრო, თუმც საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო ფსიქოლოგიურად მაინც გაუჭირდა, სენაკელი ბიჭია და ოჯახზე ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, წინა საღამოს ვარჯიშის მერე ჟვანიამ შემატყო, რომ ვღელავდი და მითხრა, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვარ, ნუ ნერვიულობ, მოვიგებო.

მერე გამოჩნდა, რომ კახა მოსაგებად მართლა მზად იყო. ორი ქულა დააკლდა. მესამე რაუნდში იყო მომენტი, როდესაც მსაჯებმა ამერიკელი მოკრივე არ გააფრთხილეს. მაინც მსოფლიოს ჩემპიონი იყო და ავტორიტეტი ჰქონდა, ამიტომ არ გაწირეს. ჟვანია ჩხუბის მერე ამბობდა, ეგ ბიჭი პირველივე წრეში რომ არ შემხვედროდა, მერე მოვუგებდი. ან საქართველოში ასეთი ამბები რომ არ ყოფილიყოო.

— იზორიამ პირველი ბრძოლა ძალიან იოლად მოიგო. მერე კი აზერბაიჯანელთან უშანსოდ ჩანდა...

— აზერბაიჯანელი სერიოზული მოკრივეა. ორჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალში იჩხუბა და მსოფლიოს პრიზიორიცაა. თან ძალიან გამოცდილია. იყო კიდევ ერთი ნიუანსი: როგორც იცით, იზორიას 54 კილოგრამში ჩხუბობდა და ზემოთ მხოლოდ ბოლო სალიცენზიო ტურნირის წინ ავწიეთ. ამან მაშინ გაამართლა და ოლიმპიადის საგზურიც აილო. აზერთან ჩხუბში კი გამოჩნდა, რომ წონის გამო მეტოქე თავს უკეთ გრძნობდა. მან წინა ოლიმპიადაზეც 57 კილოში იკრივა და ეს ფაქტი მნიშვნელოვანია. თუმცა იყო მომენტები, როდესაც იზორიას უპირატესობის მოპოვება შეეძლო.

ასეა თუ ისე, უმედლოდ დავრჩით და ამის გამო გული ძალიან მწყდება, თუმც ამ ბიჭებს რომ ვუყურებ, იმედიანად ვარ განწყობილი და მჯერა, თავის სიტყვას აუცილებლად იტყვიან და მედლებს მოიპოვებენ.

— ნოემბერში ინგლისი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. როდის დაიწყებთ საევროპო მზადებას?

— ბიჭები ათიოდე დღე კიდევ დაისვენებენ და ამის მერე გადავალთ შეკრებაზე. სამწუხაროდ, ნიკოლოზ იზორია ავარიაში მოჰყვა. პეკინიდან რომ ჩამოვიდა, სახლში მიდიოდა და... საბედნიეროდ, გადავრჩით. უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან, მაგრამ ექიმების თქმით, ექვსი-შვიდი თვე უქმობა მოუწევს და თავისთავად ევროპის ჩემპიონატსაც გამოტოვებს.

— ჯერ ადრეა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე მაინც რამდენი მოკრივის წაყვანას აპირებთ?

— კობა ფხაკაძე (60 კგ), ლევან ღვამიჩავა (64 კგ) და კახაბერ ჟვანია (69 კგ) ინგლისში აუცილებლად იქნებიან. დანარჩენების ამბავს კი მომავალი გაარკვევს. გვექნება ვარჯიშები, სპარინგები და იქ გამოჩნდება, ვინ იმსახურებს ევროპირველობაზე წაყვანას. გარდა ამისა, ერთ საერთაშორისო ტურნირშიც მივიღებთ მონაწილეობას. უნდა ვნახო, როგორ იჩხუბებენ. საერთაშორისო გამოცდილებას სულ სხვა დატვირთვა აქვს. მოკლედ, გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მოვემზადოთ და არ შევირცხვინოთ თავი.

იქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით კი საერთაშორისო ფედერაცია რეიტინგს დააზუსტებს, რის მიხედვითაც ის 12 ქვეყანა გაირკვევა, რომლებიც დეკემბერში მსოფლიოს თასზე გამოვლენ.

**ლევსო მაისურაძე**



# ჩვენი სიქა მსოფლიოს თამადობს

**პეკინის** ოლიმპიადის შემდეგ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (F1VB) მსოფლიოს ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა.

გეორ-გია 3004 ქულით მე-11 ადგილს იკავებს.

ამასთან ჩვენ ბრაზილიელებს რენატოს და ჟორჟის 72 200 დოლარი აქვს დაგროვებული. ცხრილის თავში კი ბრაზილიელები ჰარლი და პედრო (6300 ქულა) არიან წამოსკუპებული. ისე, ჰარლი ჩვენი საქას მეუღლეა და ჩვენი „სიძეც" გვყავს. მეორე ადგილზე ჩინელები ქსუ და ვუ (5340) იკავებენ, ხოლო სამეულს ასევე ბრაზილიური დუეტი რაიკარდო — ემანუელი (4820) კრავს.

ჩვენი ქალები საქა-რთველო კი მეოცე ადგილზეა 2312 ქულით და 58 800 მოგებული დოლარით.

პირველ ადგილზე კაცების მსგავსად ბრაზილიელები იმყოფებიან ანა პაულა და შელდა (6200), მეორეზე ასევე ბრაზილიელები ტალიტა — რენატა (4800) და მესამე პოზიცია ჩინელებს ტიან უია და ვანგი იკავებენ (4160).

გეორ და გია

**ნიკა ძოპაძე**

# ორი ბრძოლიდან ერთში იმარჯვეს

**პეკინის** ოლიმპიადის დასრულების შემდეგ საქართველოს პლაჟის ფრენბურთელთა ნაკრებებს ფაქტობრივად არ დაუსვენიათ, ისე ჩაებნენ მსოფლიო სერიის ტურნირებში.

ახლა ქალთა და მამაკაცთა ნაკრებები საქართველო და გეორგ-გია პოლონეთში არიან.

შეჯიბრებაში უკვე ჩაებნენ ქალები ქრისტინა სანტანა და ანდრესა ჩაგასი (საქართველო). მათ ტურნირის პირველ დღეს უკვე მოასწრეს ორი შეხვედრის გამართვა.

პირველი მატჩი ბრაზილიელმა ქართველებმა შვეიცარიულ წყვილთან — ცუმკერთან და გრაესლისთან გამართეს. ჩვენი დუეტი ტურნირზე მეთორმეტე ნომრადაა განთესილი, შვეიცარიელები კი 21-ები იყვნენ.

მატჩი საქა-რთველომ ძალიან ცუდად დაიწყო და პირველი სეტი დიდი ანგარიშითაც წააგო. თუმც შემდეგ ისინი გამოცოცხლდნენ და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 2:1 (14:21, 21:16, 15:9).

აი, მეორე შეხვედრა კი ისეთივე წარმატებული არ აღმოჩნდა ჩვენებისთვის. ისინი ტურნირის მეხუთე ნომრებს, ნორვეგიელებს, ნილასა და ინგრიდს შეხვდნენ და წააგეს 0:2 (13:21, 17:21).

დღეს საქართველო ისევ გააგრძელებს მედლებისთვის ბრძოლას.

პოლონურ ტურნირში მოგვიანებით ჩაებმებიან კაცები, გეორ-გია (რენატო გომეში და ჟორჟე ტერშეირო). ისინი უკვე ყველა შეჯიბრებაზე ფავორიტის რანგში ასპარეზობენ, რადგან ოლიმპიადის ნახევარფინალის შემდეგ მათი წონა საგრძნობლად გაიზარდა.

**გიორგი არაგული**




საქა

რთველო





# ბოლტი, ჰაუელი და გაი ბრიუსელში შეიყარნენ

# საუკუნის გარბენი

**აბა,** ეს იქნება, რაც იქნება! პარასკევს საღამოს ბრიუსელში, „ოქროს ლიგის“ რიგით მეხუთე ეტაპზე 50 ათასი მაყურებლის თვალწინ ერთმანეთს შეეჯიბრებიან უსაინ ბოლტი, ასაფა პაუელი და ტაისონ გაი!

ბელგიის დედაქალაქში ამ გარბენს „საუკუნის გარბენად“ არეკლამებენ და ხალხი მოუთმენლად ელის, მით უფრო, რომ ახლახან ჩაელილ პეკინის ოლიმპიადაზე შეჯიბრი ფაქტობრივად არც შემდგარა — ტრავმიანი გაი საერთოდ ვერ მოხვდა რვა ფინალისტს შორის, პაუელიც ტრავმამ დახია უკან — ის 9,90 წამშიც კი ვერ ჩაეტია და ულიმღამო მეხუთე შედეგით დასრულა ოლიმპიადა (სხვათა შორის, მეხუთე იყო ოთხი წლის წინ ათენშიც). ბოლტმა კი არანორმალურად ირბინა, თავისივე რეკორდს 0,03 წამი ჩამოაჭრა და ახალი მსოფლიო რეკორდი — 9,69 წამი დაარქუა. ტიტანთა შერკინებაც ერთი კაცის შოუდ იქცა.

ბელგიის ტურნირის ორგანიზატორებს მაინც იმედი აქვთ, რომ ამჯერად თანაბარი ბრძოლა გაიმართება და ბოლტს გაი თუ არა, პაუელი მაინც გამოედევნება ტოლსწორად, რომელმაც სამშაბათს ლოზანას გრან პრიზე 9,72-ში ირბინა და ბოლტს ყველა დროის მეორე შედეგში ჩაეზიარა.

გაი კი ფრთხილობს და თავს იზღვევს — ტრავმა ბოლომდე არ მომიშუშებია. ასე რომ, არ ვიცი, რამდენად შევაშინებ ორ იამაიკელ მონსტრსო.

რაც შეეხება ბოლტს, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენს ბრიუსელის მომავალ შეჯიბრზე რომ ჰკითხეს, მან უდარდელი პასუხების კასკადი მიუშვა და თან პაუელიც შეაქო 9,72-ისთვის — „არ გამაკვირვა ასაფას სუპერშედეგმა. ის დიდი სპრინტერია და მსოფლიო რეკორდების დამზობა შეუძლია. მაგრამ ეს არაა ჩემთვის პრობლემა, მიხარია კიდეც ფორმაში რომ ჩადგა, რაკი ეს უფრო საინტერესოს გახდის ჩვენს პაექრობას. ერთს გეტყვით, მე ჩემდათავად ბოლომდე დავიხარჯები.“

მართლა ბოლომდე დაიხარჯება? თუ ისე მოიქცევა, როგორც პეკინში, სადაც 100 მეტრის ფინალში ბოლო 10 მეტრი ხელების ქნევასა და გულზე ცემაში გალია. ყველა ხვდება, რომ 9,69 წამი არაა მისი მაქსიმუმი და იქნებ ახალი რეკორდიც გამოაცხოს ბრიუსელში. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ვინმე მასავით არაადამიანურად სწრაფად ირბენს და ამით აიძულებს ფეხის კიდევ უფრო აჩქარებას. შეიძლება, ასეთი გამოდგეს პაუელი, უფრო ნაკლებად — გაიც.

„მე მხოლოდ გამარჯვება მწყურია — იმუქრება 195-სანტიმეტრიანი რეკორდსმენი ბიჭი — ბრიუსელის მერე კი შინ გამიშვით, იამაიკაზე. ოლიმპიადის მერე არ ვყოფილვარ იქ და სახლში მიმეჩქარება.“

**ირაკლი ფირაშვილი**



# ოკლაჰომა სიტი თუნდერი
# ინდიელების შტატში მეხი მოწმენდილ ცაზე გავარდა

კლეი ბენეტი თავისი ნამოქმედარით

**ოკლაჰომა** სიტიში დასახლებული ნბა-ს ახალი კლუბი თანდათან კონტურებს იძენს. რეალურად ეს გუნდი „სიეტლ სუპერსონიქსის“ მემკვიდრე გახლავთ, მაგრამ რაკი მის ახალ ქალაქში გადაბარგებას დიდი სკანდალი ახლდა, ახალ გუნდადაც ამად აღიქმება.

მოკლედ, გავიხსენოთ, რა როგორ მოხდა: „სიეტლ სუპერსონიქსი“ ოკლაჰომელმა მილიარდელმა კლეი ბენეტმა რომ იყიდა, მის მშობლიურ ქალაქში გადატანა გადაწყვიტა, მაგრამ სიეტლის სხვადასხვა წრეებში უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა. ქომაგებს ძალიან უყვარდათ თავიანთ „ზებგერიობები“, რომლებიც ამ ქალაქის სახელით თითქმის 40 წელი გამოდიოდნენ ნბა-ში. ხოლო სიეტლის მერიას საქმიანი საფუძველიც ჰქონდა, ბენეტისთვის ხელი შეეშალა. ქალაქის მამები ამბობდნენ — „სონიქსისთვის“ ახალი დარბაზი ავაშენეთ და მასში ჩადებული ფული რომ ამოვიღოთ, სულ ცოტა 2010 წლამდე უნდა დავტოვოთ ეგ გუნდი ჩვენთან, მერე კი ოთხივე მხარეს წაიყვანეო. ბენეტი თავდაპირველად დაჰყაბულდა ორი წლით მოცდას, მაგრამ მერე მაინც თავისის გატანა სცადა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა, აქაოდა, კლუბი ჩემია და სადაც მინდა, იქით წავიყვან, უცხო ხალხი ხელს ვერ შემიშლისო. ეს უცხო ხალხი სინამდვილეში „უცხო“ რომ არ იყო, სულმოკლე ბენეტს ამიტომ გადაახდევინა სასამართლომ 75 მილიონი ქალაქ სიეტლის სასარგებლოდ და ასე გაატანა კლუბი.

იყო კიდევ ერთი საკვანძო პირობა — ბენეტს არ ჰქონდა „სუპერსონიქსის“ სახელის, ემბლემის და ფერების, მწვანე-ყვითელის გამოყენების უფლება. ამგვარად, მის ორგანიზაციას ახალ ბინაზე, ასე ვთქვათ, კოსმეტიკური რემონტის გაკეთება მოუხდა.

რაკი „სუპერსონიქსი“ არ დაუთმეს, ბენეტის კანტორას ახალ სახელზე დაფიქრება დასჭირდა. სიეტლელები ღვარძლიანად ექილიკებოდნენ და ვარიანტებს სთავაზობდნენ — „მომთაბარეები“, „მოყიალეები“, „მოღალატეები“ — ამ სახელწოდებიდან ნებისმიერი დაგამშვენებდათო.

თავად ოკლაჰომელებს, ცხადია, არ უსარგებლოა სიეტლელთა უანგარო ფანტაზიით, თვითონ გადაარჩიეს რამდენიმე სახელი — „ქარი“, „ენერგია“, „ბარონები“, „მარშალები“, „ბიზონები“, „ინდიელები“ და ბოლოს „მეხზე“ („თუნდერი“) შეჩერდნენ. იმის გამო ხომ არა, რომ ავადსახსენებელი ქარიშხალი „გუსტავის“ ხმა რამდენიმე ათეული კილომეტრიდან ესმით? „გუსტავიც“ რომ იქით დარჩეს და მათ ქალაქს რომ არ გაჰკრას ფრთა, ტორნადოები ისედაც ხშირად სტუმრობენ ოკლაჰომას შტატს, რომელსაც ხშირად ინდიელების შტატსაც ეძახიან.

ამგვარად, „ოკლაჰომა სიტი თუნდერი“ — ამ სახელით გამოვა ბენეტის ნაოპერაციები შვილობილი ნბა-ში. გუნდის ფერები იქნება ლურჯი, ყვითელი და ნარინჯისფერი. ითამაშებს იგივე ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსთან“, „იუტა ჯაზთან“, „დენვერ ნაგიტსსა“ და „მინესოტა ტიმბერვულვზთან“ ერთად და ეცდება, პირველ სეზონში საც შეიძლება ნაკლებად დაიგდოს უკბილო გუნდის იმიჯი.

ერთი კია: უპატრონო გუნდის იმიჯი არ დაუმკვიდრდება — როგორი ფხიანი ბოსი ჰყავს. თანაც გულშემატკივრებიც დაირაზმნენ. ოკლაჰომელები ახალი გუნდის ჩამოსახლებამ ისე გაახარა, რომ უკვე დაიტაცეს ათეულ ათასზე მეტი სეზონური აბონემენტი.

**ირაკლი ფირაშვილი**

ქარიშხალი „გუსტავი“ ციდან . . .

# ნიუ ორლეანი გუსტავს გადაურჩა

**საცოდავ** კუბის მიწასთან გასწორების შემდეგ ავბედითმა ქარიშხალმა „გუსტავმა“ მექსიკის ყურე გადასერა და ამერიკის, კერძოდ, ლუიზიანას შტატის სანაპიროებს მიადგა. ქარის უზარმაზარმა მბრუნავმა ბორბალმა ოდნავ გაუსვა კიდე სამი წლის წინ ისედაც მიწისაგან პირისა აღგვილ ნიუ ორლეანს, დასავლეთი ლუიზიანა დაარბია და ტეხასში მცირედ ჩამცხრალი შეიჭრა.

ბეწვზე გადარჩა 2005 წელს „კატრინასგან“ დაწიოკებული პირმშვენიერი ქალაქი ნიუ ორლეანი. გადარჩა მისი საკალათბურთო გუნდი „ნიუ ორლეან ჰორნეთსიც“, რომელიც კატრინას შემდეგ ისეთ დღეში ჩავარდა, რომ ორი წლით იქვე 500-ოდ კილომეტრში ოკლაჰომა სიტის შეეხიზნა და შინაურ თამაშებს იქ მასპინძლობდა საკუთარი ქალაქის აღდგენის მოლოდინში.

„გუსტავის“ გადამკიდე კლუბი სავარჯიშო დარბაზის დანგრევას ვარაუდობდა, რომელიც ნიუ ორლეანის უკიდურეს დასავლეთშია და წინასწარი პროგნოზირებით ქარბორბალას გზაზე უნდა აღმოჩენილიყო, თუმც შენობამ მხოლოდ რამდენიმე ფანჯარა დაკარგა და ოქტომბრის დასაწყისში იოლად გაუძლებს მეორე ძალის, ადამიანების შეტევას — ერთ თვეში ნბა-ს სავარჯიშო ბანაკები გაიხსნება და ნიუ ორლეანელებიც ამ დარბაზში დასცემენ კარავს.

. . . და მიწაზე

### კაცები

**მეოთხედფინალი**

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 3:6 6:1 6:4 6:2; ენდი მიურეი (6, ბრიტანეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (17, არგენტინა) 7:6 7:6 4:6 7:5

### ქალები

**მეოთხედფინალი**

სერენა უილიამსი (4, აშშ) — ვინუს უილიამსი (7, აშშ) 7:6 7:6; დინარა საფინა (6, რუსეთი) — ფლავია პენეტა (16, იტალია) 6:2 6:3

# ძრწოდე, ნიუ იორკო!

## დებმა უილიამსებმა მეოხლები დააშინეს და ერთმანეთი დაჭამეს



დების უშეღავათო ბრძოლაში გამარჯვებული სერენა უილიამსი

გუშინ „ფლეშინგ მედოუზის“ ცენტრალურ, არტურ ეშის სახელობის კორტზე ემოციები დუღდა და გადმოდიოდა — პირთამდე გადავსებული 20 000-იანი ტრიბუნების წინაშე ნამდვილი შოუ დაიდგა, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ნაადრევი ფინალი ეწოდოს. შავდა უილიამსებმა სპულად გაამართლეს მათზე გაცემული ავანსები და დაუვიწყარი, უმაღლესი დონის ჩოგბურთის ისეთი სპექტაკლი დადგეს. სიმართლე ითქვას, ამ ჯახის ხილვის შემდეგ დაგენანებოდა, რომ ეს სატიტულო მატჩი არ იყო და მასში მხოლოდ ნახევარფინალის საგზური თამაშდებოდა.

ნამატჩევს სერენამ სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება — „მართლაც საწყენია, რომ ეს ფინალი არ იყო. ასეთი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც მთელი ძალები შევალიე, გინდ ფიზიკური და გინდ ემოციური, მხოლოდ და მხოლოდ ნახევარფინალში ვარ. ტიტულამდე კიდევ ორი მატჩის მოგება მომიწევს.“

უმცროსი უილიამსი არ თვალმაქცობდა, როცა განაცხადა კორტზე სული და გული დავტოვეო. ორივე შავდამ გუშინ მართლაც შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშა — ბევრს ეს ცოტა გასაკვირადაც დაურჩა, რადგანაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ისინი ამდაგვარი ემოციური მუხტით გავიდოდნენ კორტზე. ერთმანეთთან შეხვედრებში სერენასა და ვინუსს ასეთი მიზანსწრაფულობა აქამდე არასდროს გამოუჩენიათ — მარტოის რად ღირს, რომ გუშინ ისინი სატელევიზიო გამეორებების გამოყენებასაც კი არ ერიდებოდნენ, რაც აქამდე ეროხელაც არ უქნიათ.

უფრო კარგად რომ გაიგოთ თუ რა ხდებოდა კორტზე, ამას დავამატებთ — მატჩის მიმდინარეობისას ტრიბუნები დატოვეს შავდების მშობლებმა (რომლებიც შეთავსებით მათი მწვრთნელებიც არიან), რადგანაც ვერ გაუძლეს ჩამოწოლილ ემოციურ მუხტს. თამაშს მხოლოდ სერენასა და ვინუსის უფროსი და აიშა პრაისი აღევნებდა თვალს და ისიც ძირითადად სახეზე ხელებ-აფარებული იჯდა.

ბევრი ალბათ სამართლიანად იკითხავს, როგორ მოახერხეს დებმა ერთმანეთის წინააღმდეგ ასეთი განწყობით ჩოგნაობაო. სერენამ ამასაც უპასუხა — „ვცდილობდი ვინუსისთვის რაც შეიძლება იშვიათად შემეხედა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დონეზე ვერ ვითამაშებდი.“

უშუალოდ ჩოგბურთის ხარისხზე კი საუბარიც არ ღირს — ამ დონის თამაშით სერენაცა და ვინუსიც თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ნებისმიერ წარმომადგენელს გათელავდნენ. ასე მძლავრად და სწრაფად დღეს ნამდვილად ვერავინ ჩოგნაობს, ხოლო იმას რასაც სერენა აკეთებდა, როცა უფროსი დის უძლიერეს და სნაიპერის სიზუსტით დარტყმულებს უსწრებდა, მხოლოდ სასწაული შეიძლება დაერქვას.

ყველაფერ ამის ფონზე გასაკვირი იყო, რომ სერენას გასამარჯვებლად მხოლოდ ორი სეტი დასჭირდა. თუმც ორივეში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, თანაც მთელი შეხვედრის განმავლობაში დები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთურთს. მარტო ეს სტატისტიკური მონაცემი რად ღირს — მთლიანად შეხვედრაში მოპოვებულ მომგებიან ქულებში სერენას უპირატესობა მინიმალური იყო, 101-99-ზე.

ერთადერთი, რაშიც უმცროსმა დამ აშკარად იყოჩაღა, საკუთარი შანსების უკეთესი გამოყენება გახლდათ და მატჩის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა — ვინუსმა 10 სეტპოინტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენა, მაშინ როცა სერენამ ორი შესაძლებლობიდან ორივეში იმარჯვა.

ალბათ აქედანაც მიხვდით, რომ ვინუსი თითქმის ყოველთვის წინ იყო. მას ორივე სეტში 5:3 მიჰყავდა, მაგრამ სერენამ თავის დას ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის საშუალება მაინც არ მისცა.

„საერთოდ შანსების განიავება ჩემთვის უცხო ხილია, უპირატესობას ხელიდან თითქმის არასდროს ვუშვებ ხოლმე. მაგრამ დღეს ეს ვერ შევძელი — რას იზამ, ყველაფერი ხდება“ — ფილოსოფიურად მიუდგა მარცხს ვინუსი.

სერენამ კი ამ გამარჯვებით უფროს დაზე შური იძია ორი თვის წინ უიმბლდონის ფინალში დამარცხებისთვის და პირად შეხვედრებში 9:8 დაწინაურდა.

ფინალის საგზურისთვის კი უმცროსს უილიამსს არა ნაკლებ სერიოზული ბატალია ელის, რადგანაც მეტოქედ დინარა საფინა ეყოლება. ეს რუსი კი, როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნეთ, წლეულს საოცრად კარგ ფორმაშია. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ საფინამ ბოლო 41 შეხვედრიდან 37-ში იმარჯვა.

სლავის ბოლო მსხვერპლი კი ფლავია პენეტა იყო, რომელმაც გუშინ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს. საფინა უდავოდ ერთი თავით უკეთესი ჩოგბურთელია, რაც მან საქმითაც დაამტკიცა და ყველაფერი საათსა და 11 წუთში მოათავა.

პირველი მეოთხედფინალები გაიმართა კაცთა შორისაც და ვერ ვიტყვით, რომ უინტერესო იყოო, მაგრამ შიდაუილიამსურ ჯახს მაინც ვერც ერთი შეედრება.

აგრძელებს თავის ტრიუმფალურ სვლას რაფაელ ნადალი. ამ ბიჭმა წლეულს მასზე შექმნილი თითქმის ყველა სტერეოტიპი დაანგრია და როგორ იქნებოდა ახლაც ივიე არ ექნა. კერძოდ კი, ესპანელმა პირველად უწია აშშ-ს ღია პირველობის ნახევარფინალს — წინა ექვსი ცდიდან მან მხოლოდ ერთხელ ითამაშა მეოთხედფინალში (2006 წელს), სხვა შემთხვევებში კი ნაადრევად აგებდა.

საამისოდ რაფას მარდი ფიშის დამარცხება მოუწია და ვერ ვიტყვით მალიორკელმა ეს იოლად გააკეთაო, მაგრამ ვერც იმას დავაბრალებთ, მოსაგებად ნემსის ყუნწში მოუწია გაძვრომაო. ესპანელმა ძალიან საქმინად და დამაჯერებლად იხეირა და ადგილობრივ გულშემატკივრები უკვე მეორედ დაამწუხრა.

არადა, შეხვედრის წინ ფიში იმედიანად იყო და ამტკიცებდა ჩემი სტილის მოთამაშესთან, რომელიც მუდმივად შეტევაზეა დაგეშილი და უკანა ხაზზე დიდხანს არ რჩება ხოლმე, რაფას მაგრად უნდა გაუჭირდესო. ბევრს ეს სასაცილოდ არ ეყო, რადგანაც ამერიკელი ძალზედ ერთფეროვანია, რის გამოც ნადალს ვითომდა არ უნდა გასჭირვებოდა.

თუმც პირველ სეტში ფიშის ნათქამი გამართლდა და მან აშკარად დაჯაბნა მეტოქე. იანკმა მუდმივი ზეწოლით ბლომად პრობლემები შეუქმნა ესპანელს და დაწინაურდა კიდეც. მაგრამ ნადალმა მალევე დაგვანახა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი შემთხვევით არ გამხდარა — უკვე კარგად გახურებულმა მალიორკელმა ტემპს მოუმატა და ამერიკელის აქტიურობაც ნულზე ჩამოვიდა. რაფას ამის შემდეგ პრობლემები აღარ შექმნია, ეგ კი არა ფიშს პირველი სეტის იქით კინკილა ბრეიკპოინტიც კი არ ჰქონია.

ნამატჩევს ნადალი მხოლოდ იმით იყო უმაყოფილო, რომ მატჩი გვიან დაიწყო — ამერიკული დროით შეხვედრა ღამის 2:10-ზე მორჩა, რაც ტურნირის რეკორდს, რომელიც 1993-ში მატს ვილანდერმა და მიკაელ პერნფორსმა დაამყარეს, მხოლოდ 16 წუთით ჩამორჩება.

„ჩოგბურთელები ამით აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვართ. ახლა ძილის მეტი არაფერი მწადია. თუმც რა უნდა ვქნათ — ვიცით, რომ სატელევიზიო გარფიკსთვის ასეა საჭირო და იძულებული ვართ მას დავემორჩილოთ“ — ბრაზობდა ესპანელი.

მეტი იყო მოსალოდნელი ენდი მიურეისა და ხუან მარტინ დელ პოტროს დუელისგან. გარდა იმისა, რომ ორივე საოცრად პროგრესირებს, ამ ორ ჩოგბურთელს არცთუ ტკბილი ურთიერთობები აქვთ — სიტუაცია მათ შორის განსაკუთრებით დაიძაბა წლევანდელ რომის მასტერსზე, სადაც არგენტინელმა ბრიტანელს ბურთი მოარტყა თავში. მიურეიმ კი ნამატჩევს განაცხადა, რომ დელ პოტრომ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა ტრიბუნებზე მჯდარ ენდის დედას.

ასე რომ საინტერესო იყო შეძლებდნენ თუ არა ჩოგბურთელები სპორტულ ჩარჩოში დარჩენას. სეირის მოყვარულთა იმედისგასაცრუებლად, არაორდინალური არაფერი მომხდარა — მიურეიმა და დელ პოტრომ მხოლოდ ჩოგნების ენით გადაწყვიტეს ურთიერთობების გარკვევა და შეხვედრამაც ძალიან კორექტულად ჩაიარა. ეგ კი არა, ნამატჩევს ერთმანეთსხელებიც ჩამოართვეს და გადაეხვივნენ კიდეც.

„მხოლოდ გამარჯვება მივულოცე და შემდეგ შეხვედრაში წარმატება ვუსურვე“ — იტყვის მოგვიანებით დელ პოტრო.

მიხვდებით და, გამარჯვება მიურეის დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ძალიან თანაბარი გამოდგა, შოტლანდიელმა გადამწყვეტ მომენტებში მეტი ცივსისხლიანობა გამოიჩინა და ამის ხარჯზე იხეირა, რის შედეგადაც კარიერაში პირველად ითამაშებს სლემტურნირის ნახევარფინალში. დელ პოტროს კი, რომელსაც აქამდე ზედიზედ 23 მატჩი მოეგო, საწუწუნო არაფერი აქვს, რადგანაც ისედაც იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე გეგმავდა.

**ძახა ლომაიმერილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ანსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშტარია
ინფორმაციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამარ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ჭინჭლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00